# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 აგვისტო, 2015 წელი.

№144 (7789)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## ესენი ვითომ პოლიტიკურ ზეცხედან?!.





ნაცისტური შემოტევები ამერიკიდან და ევროპიდან...

③

## გაყიდული სამართალი

●

## მაინც ვინ ლობირებს „კეზერას“ ინტერპოლში – მილიონები ხომ არა?

...არ არსებობს მსოფლიოში ფულზე, ქრთამზე, ანგარებაზე დიდი „სამართალი“. კეზერაშვილი და მისი „ძმაკაცები“ საქართველოს ხარჯზე, ქართველი ხალხის ხარჯზე გამდიდრდნენ, მსხვილ-მსხვილი ბიზნესმენები გახდნენ და ახლა ევროპის თუ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სამართლის ყიდვას რა უნდა – მილიონები, მილიონები, მილიონები. საცოდავი, შეშლილი მსოფლიო! – ვითომც დემოკრატობანას, კანონის უზენაესობას, კანონის მორჩილებას ქადაგებენ... სინამდვილეში ფულზე ოცნებაში ალამებენ და ათენებენ. ფულთან შედარებით ნებისმიერი კანონი, თვით კონსტიტუციაც კი ფარატინა ქაღალდია! ასე იყო, ასე არის, ალბათ ასე იქნება!..

აი, ვინ ლობირებს კეზერას, მიშას, ზურაბ ადეიშვილს და სხვებს ინტერპოლში!

④

## „ნაღმები“ პარლამენტის საკონკურსო პირობებში

## მეოთხე თვეა, ვიზიტიორების რაოდენობა იზრდება

ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ განაცხადა.

მან ივლისში საქართველოში ვიზიტიორების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა. როგორც გიორგი ჩოგოვაძემ აღნიშნა, **2015 წლის ივლისში საქართველოს 737 696 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9.5%-ით მეტია. მისივე თქმით, მათ შორის, იმ უცხოელი მოგზაურების ან ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, წინა წლის ივლისთან შედარებით 2.2%-ით არის გაზრდილი.**

**როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, აპრილში ზრდა 0,4%-ს შეადგენდა, მაისში – 14,7%, ივნისში – 9,3%, ხოლო ივლისში - 9,5%. რაც შეეხება შვიდი თვის მონაცემებს, ჩოგოვაძის თქმით, საერთაშორისო მოგზაურების ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შვიდი თვის მონაცემებით 4,9%-ით გაიზარდა. როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ზრდა ფიქსირდება საერთაშორისო ბარათების გადახდის მხრივაც, რაც პოზიტიურად აისახება საერთაშორისო შემოსავლების კუთხით. ყველაზე მეტი ვიზიტი თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან განხორციელდა. 7 თვის მონაცემებით პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, მათგან ზრდის კუთხით გამოირჩევა ლიტვა, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ლატვია და ნიდერლანდები, სხვა ქვეყნებიდან ზრდის თვალსაზრისით აღსანიშნავია ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და საუდის არაბეთი.**



## რეგიონულ ძალას დიდი გასაქანი აქვს

## ირანი – საერთაშორისო ყურადღების ცენტრში



⑥

პატარა მიწაზე, ამიერკავკასია რომ ჰქვია, საქართველო მურმანის ეკალივით ამოიწვერა მეზობლებს შორის.

## იაპონური სასწაული

⑪

## ფეოდალური წყობიდან – XXI საუკუნეში

## ისტორია სიმართლის გაყალბებას არავის აპატიებს




⑧

## ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას უტევს



②

## საქართველოში მაღალი ტემპერატურა მთელი კვირა შენარჩუნდება

საქართველოს მასშტაბით მთელი კვირის განმავლობაში კვლავ მაღალი ტემპერატურაა მოსალოდნელი. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიურ სამსახურში განაცხადეს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა 36-38 გრადუსია მოსალოდნელი.

რაც შეეხება შავი ზღვის სანაპირო ზოლს , სინოპტიკოსების ვარაუდით, უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ჰაერის ტემპერატურა კი 30-32 გრადუსი იქნება ხუთშაბათის ჩათვლით. კვირის მეორე ნახევარში კი, მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის 2 გრადუსით მატება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, სინოპტიკოსები თბილისში წვიმას 7-8 აგვისტოს, საღამოს საათებში ვარაუდობენ.

# რუსეთის სანქციებზე საქართველოს მიერთება, ხელისუფლების უგუნური გადაწყვეტილებაა



**საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელი, პირდაპირ შეიძლება ითქვას — უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, საქართველოს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს, — ასეთ შეფასებას პოლიტიკური გაერთიანება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე აკეთებს.**

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, იმ ფონზე, როდესაც რუსეთის ხელისუფლების მიერ არაერთხელ ოფიციალურად იქნა გაჟღერებული საქართველოსთან ურთიერთობების დათბობისა და ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყების სურვილი, საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება პირდაპირ მავნებლობად შეიძლება შეფასდეს.

„ხელისუფლების უგუნურებაზე მეტყველებს, რომ ყურადღება არ მიაქცია, ან საერთოდ ვერ მიხვდა იმას, რომ საქართველოს ასოციირებული ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად, რუსეთს არ განუხორციელებია არანაირი რეაგირება, არც ერთი მიმართულებით, ჩვენს წინააღმდეგ, თუმცა, პარალელურად იგივე მიზეზის გამო მან აკრძალა მოლდოვური ღვინისა და სხვა პროდუქციის შეტანა საკუთარ ბაზარზე, აღარაფერს ვამბობთ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ რუსეთში ჩემი ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკებების შედეგად, დაწყებულია პროცესი საქართველოს მოსახლეობისათვის კატეგორიების მიხედვით ვიზების გამარტივებასთან დაკავშირებით, ასევე რუსეთის ბაზარზე გასატანი პროდუქციის გაფართოებასთან დაკავშირებით, რაც აბაშიძე-კარასინის შეხვედრის შემდეგ ოფიციალური განცხადებით დაადასტურა როგორც რუსულმა, ასევე იძულებით, ქართულმა მხარემ. გარდა ამისა, მიღწეული იყო სხვა უმნიშვნელოვანესი შეთანხმებები, რისი მოსმენაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა არ ისურვეს, ვინაიდან „ქართული ოცნება“ როგორც ჩანს, გადაწყვეტილებებს იღებს არა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან, არამედ ვიწრო პარტიული და მონური დამოკიდებულებებიდან გამომდინარე და სწორედ ამის გამო დღეს ჩემს მიერ მიღწეული ყველა შეთანხმება შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს“, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მისივე თქმით, ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, უწყვეტ რეჟიმში განაგრძნობენ სტრატეგიულ თანამშრომლობას რუსეთის ფედერაციასთან, რადგან ეს მათი ქვეყნების სახელმწიფო ინტერესებს სჭირდება.

## ◎ ინფორმაცია

### რა გაძვირდა, რა გაიაფდა

**სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის ივლისში საქართველოში ინფლაციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, წინა თვესთან შედარებით, ივლისში საქართველოში ინფლაციის დონემ -0,2 პროცენტი შეადგინა.**

**მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე — სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები შემცირდა 0,8 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში — 0,25 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფზე ფასების შემცირება ძირითადად განაპირობა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე ფასების კლებამ (-9,2 პროცენტი). ფასები ასევე შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-11,6 პროცენტი). ამასთან ფასები გაიზარდა რძეზე, ყველსა და კვერცხზე (2,7 პროცენტი) და ზეთსა და ცხიმზე (1,4 პროცენტი).**

**რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას, საქსტატის ცნობით, წინა თვესთან შედარებით ფასები გაიზარდა 0,6 პროცენტით, რამაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,06 პროცენტული პუნქტის ტოლი წვლილი შეიტანა. ჯგუფში ფასები გაიზარდა ფარმაცევტულ ნაწარმზე (1,1 პროცენტი).**

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლის ივლისთან შედარებით, 2015 წლის ივლისში ინფლაციის დონემ საქართველოში 4,9 პროცენტი შეადგინა.**

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● სუიციდი ლათინური სიტყვაა და ქართულად თბილისში ყოფნას ნიშნავს...

● დავით დარჩიაშვილიც კაი ფრუქტია და სამწუხაროა, რომ სათანადოდ არაა დაფასებული და იშვიათად მოიხსენიება, ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების გვერდით, როგორებიც არიან: წიკლაური, ხაბაზი, თაქთაქიშვილი, ხერხეულიძე, გაბაშვილი, მინაშვილი და ნაცმოძრაობის სხვა კორიფეები...




ვეტოს დღე არ დავაწესოთ?
შე ვეტოდასადებო, შენა!
შენ გნახე ვეტოდადებული!
გაგიხმეს ვეტო!
და აშშ...

● მარგველა — მე ეგ ვეტო არ მინდოდა,
თქვენ ამკიდეთ ძალადა!
დღეობაზე მოგიძღვენით,
ვარდი ერთი კალათა!
ჯაჭვლიანი — აქეთ ფიცარი, იქეთ ფიცარი, ვეტო არ დაადო, შე ჩმორო!

● თოფმა მგელი, მგელმა თხა, მიშამ კაიმალი შეჭამა!!!
(კაიმალი, პროდმაღის კაი ნაირსახეობაა).

● მაგარი დაცული ვარ, თინა ოკუპაციისგან მიცავს, სენსოდენტი კარიესისგან!!!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

# კახში ქართველი სასულიერო პირები წირვა-ლოცვის აღსავლენად დღესასწაულებზე ივლიან



**არქიმანდრიტ დემეტრე თეთრუაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის მიღებული გადაწყვეტილებით, კახში ქართველი სასულიერო პირები წირვა-ლოცვის აღსავლენად დღესასწაულებზე ივლიან.**

„მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი კაპანაძე იმყოფებოდა აზერბაიჯანში ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისთვის. აზერბაიჯანის რელიგიის კომიტეტთან მიღებული გადაწყვეტილებით, ქართველი სასულიერო პირი, რომელიც ფლობს საქართველოს მოქალაქეობას ჩავა მარიამობის დღესასწაულზე და აღავლენს წირვალოცვას. შემდეგ კი, დაიწყება მოძიება სასულიერო პირის, რომელიც აზერბაიჯანის მოქალაქეობას აიღებს და მზად იქნება კახში მსახურებისთვის“, — განაცხადა დემეტრე თეთრუაშვილმა.

რაც შეეხება მისი მხრიდან საქართველოს პრეზიდენტისთვის მიმართვას ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით, თეთრუაშვილის თქმით, ეს პროცედურულად წარმოუდგენელია, რადგან აზერბაიჯანს ორმაგი მოქალაქეობა აკრძალული აქვს.

# უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ იოსებ გოგაშვილი დაინიშნა



**ამის შესახებ უსაფრთხოების სამსახურის ახალმა უფროსმა ვახტანგ გომელაურმა მისი მოადგილეების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.**

გომელაურის თქმით, შეუძლია თამამად თქვას, რომ მისი მოადგილე იქნება იოსებ გოგაშვილი, ხოლო „დანარჩენი მოადგილეების შესახებ მოგვიანებით ჩამოყალიბდება“.

რაც შეეხება უსაფრთხოების სამსახურის სამუშაო ადგილს, გომელაურის თქმით, ეს იქნება 9 აპრილის (ყოფილი ჩიტაძის) ქუჩაზე მდებარე ყოფილი უშიშროების სამინისტროს შენობა, სწორედ იქ იმუშავებს უსაფრთხოების სამსახური.

იოსებ გოგაშვილი გომელაურის შს მინისტრობის დროს მისი პირველი მოადგილე იყო.

## ◎ სიახლის პირისპირ

# ხადური ბიზნესმენებს ჯერ არაფერს დაუთმობს!



**მელუდეებს დიდი იმედი კი ჰქონდათ, რომ ბიზნესომბუდსმენთან საერთო ენის გამონახვის შემდეგ, მთავრობაც დათმობაზე წამოვიდოდა და აქციზის შემცირებაზე დაყაბულდებოდა, მაგრამ, მათდა სავალალოდ, ფინანსთა მინისტრი ლუდზე აქციზის შემცირების აუცილებლობას ვერ ხედავს. ნოდარ ხადურს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს, რომელიც ლუდის მწარმოებლებს იმედიანად ვერ განაწყობს.**

ფინანსთა მინისტრის თქმით, აქციზის შემცირების თაობაზე საუბარი მას წინასწარ არ სურს, რადგანაც ჯერჯერობით საკითხის ანალიზი მიმდინარეობს, თუმცა, მისი შეხედულებაა, რომ აქციზის შემცირების აუცილებლობა არ არსებობს.

ნოდარ ხადურმა აქვე დასძინა, რომ არაერთხელ შეხვდა უალკოჰოლო სასმელების კომპანიათა წარმომადგენლებსაც. „მათი მოთხოვნა იყო, რომ მარკირების ღირებულება სახელმწიფოს გადაეხადა“, — განაცხადა მინისტრმა.

საქართველოში ლუდზე აქციზი 2015 წლის 1 მარტიდან გაიზარდა. შედეგად, 1 ლიტრ ალაოს ლუდზე აქციზის გადასახადმა 0,4 ლარიდან 0,6 ლარამდე მოიმატა. ამის გამო ადგილობრივი ლუდის რეალიზაცია დაახლოებით 45%-ით შემცირდა. ამას ადასტურებენ როგორც მწარმოებლები, ასევე სავაჭრო ქსელებიც.

მელუდეთა ღრმა რწმენით, პროდუქციის გაძვირება აქციზის გაზრდამ გამოიწვია. გაყიდვის შემცირებაზე, გარკვეულწილად, იმოქმედა ლუდის სმაზე დაწესებულმა შეზღუდვამაც. ამიტომაც მელუდეები რამდენიმე ინიციატივით მიმართავენ მთავრობას. ისინი მოუწოდებენ მთავრობას, შეცვალოს გადაწყვეტილება ლუდის აქციზის 50 პროცენტით გაზრდასთან დაკავშირებით, რომელიც ძალაში 2015 წლის მარტიდან შევიდა.

თუ არაფერი შეიცვალა, წლიური მონაცემებით, ლუდის ბაზარი მინიმუმ 20%-ით შემცირდება. ამასთან, დაზარალდება როგორც მოსახლეობა, ისე ბიზნესი და ბიუჯეტიც, რომელსაც ამ ბიზნესიდან შემოსავლების ნაწილი უკვე დააკლდა. ამას ადასტურებს შემოსავლების სამსახურის მონაცემები აქციზური მარკების რეალიზაციის კლების შესახებ.

ლუდის მწარმოებლები ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიას უკვე შეხვდნენ. ომბუდსმენმა მათი პოზიცია გაიზიარა. სამომავლოდ ადგილობრივ ბიზნესმენებთან მოლაპარაკება გაგრძელდება, ხოლო საბოლოოდ არ არის გამორიცხული, ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების სავალდებულო მარკირებაზე მოლაპარაკება ფინანსთა მინისტრთან გაგრძელდეს.

კომპანია „ნატახტარის“ კორპორაციული დირექტორი **ნიკოლოზ ხუნძაკიშვილიც** ამბობს, რომ ბიზნესმენები სექტემბრის ბოლოს, შეიკრიბებიან და გადახედავენ რამდენად სწორი იყო აქციზის გაზრდა.

„შევთანხმდით, რომ შემდეგი შეხვედრა აუცილებლად იქნება ფინანსთა მინისტრთან ამ ფორმატში და შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრთან გადაწყვეტილების მისაღებად. ვიდრე ეს შეხვედრები და კონსულტაციები არ დასრულდება, გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება, შესაბამისად, ჩვენ გვაქვს ვადა ნოემბრამდე აქტიური კონსულტაციებისთვის“, — განაცხადა ხუნძაკიშვილმა.

ლუდის რეალიზაციის შემცირებას ადასტურებენ სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლები. მოვაჭრეების ინფორმაციით, შემცირდა როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოების ლუდის რეალიზაცია. ზოგადად კი მოთხოვნამ თითქმის ყველა დასახელების პროდუქტზე იკლო და ამ მხრივ ალკოჰოლური სასმელი ერთ-ერთი ლიდერია.

მელუდეებისა და ფინანსთა მინისტრის შეხვედრას აზრი მაშინ ექნება, თუკი ნოდარ ხადურის პოზიცია ასეთი შეუვალი აღარ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივ ლუდის მწარმოებლებს ახალ რეალობასთან შეგუება უფრო ინტენსიურად მოუწევთ.

**ბექა დანელია**

**ესენი პოლიტიკურზე სხედან! ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას როგორც დემოკრატიამოყირჭებულ დასავლეთში, ისე ნაციონალურად გადემოკრატებულ საქართველოში, სადაც გახელისუფლებულმა მიშისტებმა თავიანთი მმართველობის მთელი 9 წლის მანძილზე ქვეყნის მდიდარ მატერიალურ ფასეულობებთან ერთად ერის სულიერი და ზნეობრივი ღირებულებებიც ერთიანად გადახნ-გადმოხნეს. და ახლა ესენი, საქართველოს დემოკრატიულ აღმშენებლობათა შემოქმედნი, თურმე, ან პოლიტიკურზე სხედან საპყრობილეებში, ან პოლიტიკური მოტივით იდევნებიან. ასე ფიქრობენ დღეს უკვე ხელისუფლებიდან გაყრილი ნაცები და დეპუტატ ზაზა პაპუაშვილის ნათქვამისა არ იყოს, მათ დღედაღამ თავპირი რომ უმტვრიო, ამ აკვიატებულ ავადმყოფურ ნაბოდვარს მაინც ვერ გადაათქმევინებ.**



# ნაცისტური შემოტევები ამერიკიდან და ევროპიდან...

ნაცები დღეს ოლიგარქი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის ხელით მართული მთავრობის მიერ პოლიტიკურად დევნილი, უფლებაჩამორთმეული ოპონენტები არიან და მეტი არაფერი. ამას ხედავენ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ევროპასა და ამერიკაში, ამას ხედავს მთელი მსოფლიო, ვერ ხედავენ მხოლოდ მეოცნებე ქართველი ხელისუფალნი და არც სურვილი აქვთ, რომ დაინახონ, — აცხადებენ „უფლებააყრილი" ნაცბანდელები.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ნაცების მხრიდან ამ საყვედურს ყველა ქართველი ხელისუფალი თანაბრად იმსახურებს. აი თუნდაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა პატიმარ ლევან ბობოხიძის შეწყალების გამო, შეაქო და „ჭეშმარიტ ნაციონალ პრეზიდენტად" მოიხსენია. **„ძალიან კარგია,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — **რომ ასეთი კეთილშობილი პრეზიდენტი გვყავს. იმედი მაქვს, რომ ის სააკაშვილს, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილს და სხვა „კეთილ ადამიანებსაც" შეიწყალებს"**.

ვიცი, პრემიერს არ ესიამოვნება, მაგრამ ფაქტია, რომ პრეზიდენტის საქციელთან დაკავშირებით, მისმა ასეთმა გულღია აღფრთოვანებამ არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი გაანაწყენა. იმდენად გაანაწყენა, რომ „თავისუფალი თაობის" ლიდერი **ლადო სადღობელაშვილი** მარგველაშვილისთვის „შემოლაწუნებასაც" კი აპირებს. თავი მართლა პრეზიდენტი ხომ არ ჰგონია? — კითხულობს ის, — **სირცხვილი და დანაშაულია, პრეზიდენტი იწყალებდეს „ხონელ მაფიოზებს", რეკეტიორებსა და სახელმწიფო ქონების მფლანგველებს... ვგულისხმობ ლევან ბობოხიძეს, კაკო ბობოხიძის ძმას, რომელიც ხონის მუნიციპალიტეტში ხეტყის განიავებისა და საჯარო მოხელეებიდან ყოველთვიურად თანხების აკრეფის გამო იხდიდა სასჯელს და არა პოლიტიკური თვალთახედვისთვის, როგორც ეს ნაცებს ეჩვენებათ**.

ვიდრე პრეზიდენტი მარგველაშვილი პრემიერ ღარიბაშვილის მიერ შეთავაზებულ დამნაშავეებს — მიხეილ სააკაშვილს, ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს შეიწყალებდეს, ალბათ, უპრიანი იქნება, გავიხსენოთ ნაცბანდელთა ნაკეთები შავბნელი საქმეები, რომელიც რვათვიანი კვლევის შემდეგ კონკურენციის სააგენტომ ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევისას გამოავლინა. ყველას გვახსოვს, ნაცებს თავი უწყინარ კრავებად რომ მოჰქონდათ — ჩვენ რომ გვაბრალებდით, ვითომ ნავთობკომპანიებს მილიარდებს ვღლეტავდით და საწვავს ვაძვირებდით, ხელისუფლებიდან ხომ წამოვედით და ბენზინს კვლავაც ცეცხლი რატომ უკიდიაო?!

**სწორედაც რომ მილიარდებს ღლეტავდით, ბატონო ნაცბანდელებო (მიშა მაგარის თავკაცობით) და ეს ღიად და გამჭვირვალედ დაიდო კონკურენციის სააგენტოს დასკვნაში, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა. 10 წელიწადზე მეტია, საზოგადოებას ღრღნიდა ეჭვი, რომ ნავთობკომპანიები ზემოგებით მუშაობდნენ და შეთანხმებულ ფასს აწესებდნენ საწვავზე, რაც საბოლოოდ თითქმის ყველა პროდუქტსა და მომსახურებას აძვირებდა. ეს ეჭვი დოკუმენტურად დადასტურდა, რამაც სააგენტოს დასკვნაში მოიყარა თავი.**

საწვავის საცალო ბაზარზე, ვკითხულობთ დასკვნაში, წლების განმავლობაში დომინირებდა ექვსი კომპანია („ვისოლი", „ლუკოილი", „სოკარი", „ეკო", „რომპეტროლი", „სენატა" და „მაგნატი"). 2010 წელს ბაზარზე გამოჩნდა კომპანია „გალფი", რომელიც „სენტას", „ეკოსა" და „მაგნატის" ავტოგასამართ საგურებს დაეპატრონა და ყველაზე მეტი სადგურის მფლობელი გახდა. „გალფის" შემოსვლამ ბაზარზე იმის მაგივრად, რომ ნავთობი გაეიაფებინა, პირიქით, ფასები კიდევ უფრო გაზარდა. წესით, როცა ბაზარზე ახალი მოთამაშე შემოდის, ადგილის დამკვიდრება უნდა გაუჭირდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა, კონკურენტებმა რატომღაც საკუთარი ნებით დაუთმეს ასპარეზი „გალფს".შემმოწმებელნი გააოცა სხვა უცნაურობამაც, „გალფს" წლების მანძილზე კონკურენტებზე ნაკლები ნავთობპროდუქტები შემოჰქონდა და ყოველთვის მათზე მეტს ჰყიდდა(!). თუმცა, გასაოცარი აქ არაფერი იყო, „გალფის" რეალური მეპატრონე ხომ ყველასთვის კარგად ცნობილი მაფიოზი, კორუფციის სფეროში სააკაშვილის პირველი ვაზირი დავით კეზერაშვილი გახლდათ...

— რამდენიმე წლის წინათ, — ამბობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი **ბექა კემულარია,** — სანამ ეს სფერო განსაზღვრული ჯგუფის ხელში მოექცეოდა და კარტერული შეთანხმება ჩამოყალიბდებოდა, კომპანიები საწვავს 1 ლიტრზე დაახლოებით 20-80-თეთრიანი დანამატით ყიდდნენ, დღეს კი 60 თეთრიანით ყიდიან. როცა თვეების განმავლობაში საერთაშორისო ფასები მცირდებოდა აქ ნავთობპროდუქტებს არ აიაფებდნენ, ფასნამატი 80 თეთრსაც აღწევდა. ეს ამ კარტერული შეთანხმების ნაყოფია. კონკურენტები ჩამოიშორეს, შექმნეს ხელოვნური ბარიერები იმპორტის, დისტრიბუციისა და გაყიდვის ნაწილში და ავტოგასამართი სადგურების ქსელიც კი გადაინაწილეს.

**ესენი ვითომ პოლიტიკურზე სხედან?!.**

ამ მაფიოზური დანაშაულისთვის, რამაც ქვეყნის ეკონომიკასა და ხალხის ჯიბეს უკანასკნელი გროშები გამოსძალა, როგორც ცნობილია, საქართველოს მთავარ პროკურატურას კეზერაშვილისთვის და მით უფრო სააკაშვილისთვის, დღემდე ბრალი არ წაუყენებია. ის დანაშაული კი, რომლისთვისაც პროკურატურამ კეზერაშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, საფრანგეთის სასამართლომ იურიდიულად დაუსაბუთებლად სცნო (უფრო პოლიტიკური მოტივით ახსნა) და იმის მაგივრად, რომ კეზერაშვილი ექსტრადირებით საქართველოსთვის გადმოეცა, ის გირაოს საფასურად დარბაზიდანვე გაათავისუფლეს(!). საქართველოს პროკურატურას საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, რაც სამართლებრივად იმას ნიშნავს, რომ განაჩენს დაეთანხმა(?!).

უფრო მარტივად გამოძვრა (თუ ამას გამოძრომას დავარქმევთ) დანაშულიდან იუსტიციის ნამინისტრალი და სააკაშვილის მარჯვენა ხელი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში" ზურაბ ადეიშვილი, რომელმაც ინტერპოლი „დაარწმუნა", რომ საქართველოდან პოლიტიკური მოტივით იდევნებოდა და საერთაშორისო ძებნილის სტატუსს იოლად დაემშვიდობა. თავადაც ძებნილმა და საქართველოს მეგობარ უკრაინაში ოდესის ოლქის გუბერნატორად დაწინაურებულმა სააკაშვილმა მომენტი იპოვა და ადეიშვილი უმალ თავის ახალ საბრძანებელში მთავარ პროკურორად გაამწესა.

სააკაშვილის საძმოს ამ წევრთა შორის, რომლებიც „პოლიტიკურზე სხედან", ყველაზე მეტად დაიჩაგრნენ (მათ შემყურეს თვალები ცრემლით აგევსება) ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და გიგი უგულავა, რომლებიც მიშნაცების მტკიცებით, დღემდე ივანიშვილის პირად პატიმრებად რჩებიან. ამ უკანასკნელის (ივანიშვილის) „ახირება-აკვიატებას" რა ვუთხარი, თორემ რაღაც ორი გვამის მოთხოვნისათვის, ან კიდევ პატიმართა წამება-გაუპატიურებასა და თუნდაც 48 მილიონი სახელმწიფო თანხის განიავებისათვის ამხელა ეროვნულ ფიგურებს კაცი საციხედ როგორ გაიმეტებდა(!).

**ივანიშვილის „შეცდომა" ერთგვარად „გამოასწორეს" ჩვენმა კეთილისმყოფელმა დასავლეთელმა პარტნიორებმა, როცა საქართველოდან სამართალს გაქცეული პრეზიდენტყოფილი „პოლიტიკური მოტივით" დევნილად გამოაცხადეს და მსოფლიო პოლიტიკის მიუნჰაუზენად აღიარებულ სააკაშვილს სამოღვაწეო ასპარეზად „რევოლუციური" უკრაინა შესთავაზეს**. როგორც ჩანს, მათ ჰქონდათ ამის საკმაო საფუძველი: სააკაშვილის რეჟიმმა ხომ 2008 წელს რუსეთს, ფაქტობრივად, დაუკანონა აფხაზეთი, ისტორიული დალის ხეობა სვანეთში და უძველესი სამაჩაბლო დვალეთი, რომლის სოფლებიც ქვეყნის მაშინდელმა „სარდალმა" ქვების გროვად მოიხსენია. სააკაშვილმა რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დასადები ხელშეკრულებიდან (2008 წ.) ამოიღო მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამომავლო სტატუსის განსაზღვრას, რითაც საბედისწერო შეცდომა (ვითომ შეცდომა!) დაუშვა. ხსენებული მუხლი რომ დარჩენილიყო, რუსეთი ვეღარ შეძლებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად დე იურე აღიარებას. **ეს იყო მზაკვრული, აშკარად მოღალატური საქციელი და ამის ავტორი გახლდათ საქართველოს „დიდი რეფორმატორი", ქვეყნიდან „პოლიტიკური მოტივით" დევნილი სააკაშვილი(!)**.

დღეისათვის სწორედ სააკაშვილის მიერ ფაქტორივად შეთანხმებულ „საზღვრებში" მოიწევს და ახორციელებს ოკუპაციას რუსეთი, ამჟამინდელი ხელისუფლება კი იმის შიშით, რომ რუსეთის მიერ დაგებულ ხაფანგს კვლავ არ წამოეგოს, ხშირად გაჩუმებას ამჯობინებს. რუსეთი თამაშობს მასთან თავის დროზე შეკრული ნაციონალური ხროვის თამაშს. **ეს არის სპექტაკლი, რომლის მთავარი რეჟისორია სააკაშვილი და რომელიც უნდა დაისაჯოს სამშობლოს ღალატის გამო. მწერალ ვაჟა ოთარაშვილის თქმით, „სააკაშვილი არის ის პოლიტიკური მეძავი, რომელიც დღისით ამერიკასთან წევს, ღამით კი — რუსეთთან."**. ახლაც ოდესაში გუბერნატორად დაწინაურებული სააკაშვილი საქართველოში აპრობირებული მეთოდით ხელმძღვანელობს და, როგორც ვარაუდობენ, ოდესასაც მალე ჩააბარებს რუსეთს.

ეს ჩვენ, ვისაც საკუთარი თვალით „გვაყურებინა სააკაშვილმა საკუთარ მზაკვრობასა და მოღალატეობას, ვიცით რა „ღვთის კრავიც" გახლავთ მიშა ოღრაში, თორემ აბა ამერიკელ სენატორს, მაკკეინს შეკადრეთ მასზე აუგი? რას ბრძანებთ, ბატონებო, სააკაშვილი მსოფლიოში ნომერ პირველი დემოკრატი და რეფორმატორიაო, შემოგეპასუხებათ და მაშინვე ინტერპოლს გადაურეკავს, ემანდ ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ დაიჭიროთ, მიშა საკუთარი ქვეყნიდან პოლიტიკურად დევნილი წამებულიაო. **და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამის გამგონემ, თავს უფლება მივცე, გონივრული ეჭვი შევიტანო იმ ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობაზე, რომლის სენატორმაც ცალ ფეხზე დაიკიდა ჩემი ქვეყნის სამართალი და კანონის უზენაესობა. ასევე, ეჭვი შევიტანო საქართველოს პროკურატურის პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაში, რომელმაც სააკაშვილის უთვალავი დანაშაულიდან წინა პლანზე 7 პიჯაკის, სუშის ქვითრისა და ბებიის დანჯღრეული ავტომანქანა წამოსწია(!). მოდი და ამის შემდეგ ნუ დაიჯერებ სააკაშვილის უდანაშაულობას და მისთვის პოლიტიკური მოტივით ქვების სროლას**.

მეც არ მჯერა, რომ ნაცებს დავაჯერებ, მათი გაკეთილშობილების შანსი ნულის ტოლია, არ არსებობს ვარიანტი, მათ რაიმე მოინანიონ, მაგრამ მაინც უნდა ვუთხრა: **მიშნაცებო, თქვენი ხელმეორედ გახელისუფლება შეუძლებელია! ლეგენდა თქვენი უძლეველობის შესახებ გაბერწებულია, თქვენი მატარებელი ჩავლილია და პოლიტიკური შესანდობარიც ნათქვამია**. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ამ ხელისუფლებამ და პროკურატურამ ხელისგულზე ვერ დაუდეს დასავლეთს და სამშობლოს მოღალატე ნაცები ამიტომაც ყელყელაობენ. ამიტომაც გვიტევენ „პოლიტიკური მოტივით" იქით ამერიკა და აქეთ კიდევ ევროპა.

**ოთარ ხუციშვილი**

**ახალი მინისტრი**

## კრიმინალის წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლა იქნება გამოცხადებული

**ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა, რომელიც უწყებაში პირველად გუშინ მივიდა.**

**მისივე თქმით, უმკაცრესი რეაგირება მოხდება თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებზეც.**

**„თითოეული ასეთი შესაძლო ფაქტი დეტალურად იქნება შესწავლილი და უმკაცრესი გადაწყვეტილებებს მივიღებთ. მოგეხსენებათ, მე ვიცავ ყველას უფლებებს — ჩემი თანამშრომლების უფლებებსაც და იმ უბრალო მოქალაქეების, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო პოლიციის დაწესებულებებში ხვდებიან", — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.**




**საქართველოს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი გიორგი მღებრიშვილი უწყებაში საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავს, თუმცა, აცხადებს, რომ ეს დეტალური ანალიზის საფუძველზე მოხდება.**

**სისტემაში არსებული ვითარების დეტალური ანალიზი იქნება პირველი, რასაც გააკეთებს და სწორედ ამის მიხედვით დაისახება პრიორიტეტები. „ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება, რომ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ უსაფრთხო გარემო საქართველოში მცხოვრებლებისთვის. მე დავბრუნდი იმ ოჯახში, სადაც, შეიძლება ითქვას, ავიდგი ფეხი, როგორც საჯარო მოხელემ. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა, — განაცხადა მღებრიშვილმა.**

**ინტერპრესი**

გაყიდული სამართალი



# მაინც ვინ ლობირებს „კეზერას“ ინტერპოლში – მილიონები ხომ არა?

**საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილს ინტერპოლი აღარ ეძებს – სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსანი წითელი ცირკულარიდან ამოიღეს. მთავარ პროკურატურაში განმარტავენ, რომ ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ გადაწყვეტილება ქართული მხარის არგუმენტების გაცნობის გარეშე მიიღო. სხვათა შორის, პროკურატურისგან ანალოგიური განმარტება რამდენიმე თვის წინათ, ზურაბ ადეიშვილის შემთხვევაშიც მოვისმინეთ, თუმცა, ვინ ან რა ფაქტორი უშლის უწყებას ხელს, რომ ინტერპოლს არგუმენტები დროულად, გადაწყვეტილების მიღებამდე მიაწოდოს, გაუგებარია.**

– საქართველოს მთავარი პროკურატურა გეგმავს მიმართოს ინტერპოლის შესაბამის დანაყოფს და არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოითხოვოს დავით კეზერაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნის აღდგენა... მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადიციის საკითხს ამჟამად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სასამართლო განიხილავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარი პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს გაერთიანებული სამეფოს კომპეტენტურ ორგანოებთან და ექსტრადიციის საკითხის წარმატებით დასრულების მიზნით მოთხოვნისამებრ აწვდის მათ ყველა საჭირო ინფორმაციასა და მასალებს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში, დამატებითი განმარტებისგან კი უწყებაში თავს იკავებენ.

კეზერაშვილის ადვოკატი **შოთა მინდელი:** – ინტერპოლის გადაწყვეტილებას წინ ჩვენ მიერ გადაგზავნილი მტკიცებულებები უძღოდა, რის შემდეგაც კეზერაშვილის მიმართ წითელი ცირკულარით ძებნა გაუქმდა. ისეთმა კომპეტენტურმა და სანდო ორგანიზაციამ, როგორიც ინტერპოლია, არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ კეზერაშვილის მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა. მსგავს გადაწყვეტილებებს ინტერპოლი იშვიათად იღებს, საქართველოსთვის კი ეს უკვე მეორე პრეცედენტია.

**– პროკურატურა საერთაშორისო ძებნის აღდგენის მოთხოვნით ინტერპოლში დამატებითი დოკუმენტაციის გადაგზავნას აპირებს, ასევე ცნობილი ხდება, რომ მისი ექსტრადირების საკითხზე გაერთიანებული სამეფოს სასამართლოსთან თანამშრომლობს.**

– როგორც უნდა ეცადონ, კეზერაშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ არსებობს. ამაზე უკვე საერთაშორისო ორგანიზაციები საუბრობენ და მერწმუნეთ, პროკურატურის ნებისმიერი მცდელობა უშედეგოდ დასრულდება. სხვათა შორის, პროკურატურამ ინტერპოლი ვერც იმაში დაარწმუნა, რომ ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნა დაეწყო.

სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაზე ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დადებითი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. საქართველოს მთავარი პროკურატურა ამზადებს საჭირო მასალებს და გეგმავს, მიმართოს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს და მოითხოვოს მიხეილ სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაც, – განმარტავენ პროკურატურაში.

**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:** – ცუდი კომბინაციები თამაშდება, ყველაფერი თავდაყირა დადგა და აბსურდის თეატრს დაემსგავსა. პროკურატურამ ჩათვალა, რომ კეზერაშვილის მიმართ დევნის შეწყვეტას ისევ ინტერპოლს გადააბრალებდა და ამით საკუთარ დანაშაულს გამოისყიდდა, მაგრამ საზოგადოება ყველაფერს ხვდება. არა მხოლოდ პროკურატურამ, პოლიტიკურმა ელიტამაც ვერ მოახერხა ახსნა-განმარტების მიწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

ჩემი აზრით, ინტერპოლის გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი როლი ევროპარლამენტში მიღებულმა რეზოლუციებმა ითამაშა, რაც მმართველი გუნდის დანაშაულია. პასუხისმგებლობა მმართველ გუნდზეც უნდა გადანაწილდეს, რომელთა მოქმედებები დიდი ხანია, მორალის ფარგლებს გასცდა.

**ჯანო აბაშიძე.**

**რედაქციისგან: ადვოკატ შოთა მინდელს და ექსპერტ გია ხუხაშვილს ერთი ელემენტარული ცხოვრებისეული „გამოცდილება“ ავიწყდებათ: არ არსებობს მსოფლიოში ფულზე, ქრთამზე, ანგარებაზე დიდი „სამართალი“. კეზერაშვილი და მისი „ძმაკაცები“ საქართველოს ხარჯზე, ქართველი ხალხის ხარჯზე გამდიდრდნენ, მსხვილ-მსხვილი ბიზნესმენები გახდნენ და ახლა ევროპის თუ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სამართლის ყიდვას რა უნდა – მილიონები, მილიონები, მილიონები.**

**საცოდავი შეშლილი მსოფლიო! – ვითომც დემოკრატობანას, კანონის უზენაესობას, კანონის მორჩილებას ქადაგებენ... სინამდვილეში ფულზე ოცნებაში აღამებენ და ათენებენ. ფულთან შედარებით ნებისმიერი კანონი, თვით კონსტიტუციაც კი ფარატინა ქაღალდია!**

**ასე იყო, ასე არის, ალბათ ასე იქნება!..**

**აი, ვინ ლობირებს კეზერას, მიშას, ზურაბ ადეიშვილს და სხვებს ინტერპოლში!**

პარლამენტი

# „ნაღმები“ საკონკურსო პირობებში

**პარლამენტის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პირობები აჩენს ეჭვს, რომ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამის შესახებ „კომერსანტს“ საჯარო კონკურსებზე დაკვირვების პრაქტიკული გამოცდილების მკითხველმა განუცხადა.**

**ჩვენი მკითხველის თქმით, რომლის ვინაობასაც ამ ეტაპზე მისივე თხოვნით არ ვასახელებთ, საქართველოს პარლამენტის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის განაცხადში, რომელიც პარლამენტის საიტის გარდა, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზეც გამოქვეყნდა, კონკურსის პირობები ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუმცა, იქვეა ჩადებული ერთი პატარა „ნაღმი“ – „კანდიდატს შეიძლება მიეცეს წერილობითი დავალება“.**

„კომერსანტის“ მკითხველის თქმით, „ნაღმი“ პარლამენტის საიტზე ასეთი განცხადების სახით დევს: „ყურადღება! იმ კონკურსანტებს, რომელთაც განცხადებები შემოტანილი აქვთ საბიუჯეტო ოფისის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად II ეტაპის (ტესტირების) წარმატების გადალახვის შემთხვევაში, კონკურსის III ეტაპის (გასაუბრების) წინ მიეცემათ დავალება“.

**მაინც, რამ განაპირობა ასეთი საგანგებო ინტერესი ან ვის ინტერესებშია ეს განსაკუთრებულობა?**

თანაც, დავალებაც მდარე თარგმანია, შესაძლოა, შეგნებულადაც. მაგალითად, ტერმინი „გამოდევნის ეფექტი“ „გამოძევების ეფექტად“ არის ნათარგმნი, რაც შეცდომაა. გარდა ამისა, არ არის მითითებული რაიმე წყარო და ლიტერატურა, თუ საიდანაა აღებული ეს ნიმუში, არ არის ცნობილი რამდენი დროა გამოყოფილი, არ არის ინფორმაცია ვარიანტების რაოდენობისა და მათი დაცულობის შესახებ, გაუგებარია საკითხთა დიაპაზონი, რომელსაც უნდა ფლობდეს კონკურსანტი, ასევე ის, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება ამ დავალების შესრულების დონე.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს რაღაც ცალკეული სპეცსემინარებისთვის განკუთვნილი საკითხების კომპილაციაა, რომლის „გასაღები“ მხოლოდ მის შემდგენელს აქვს. აშკარაა, რომ უკეთეს შემთხვევაში „დავალება“ საკმაოდ დაბალი კვალიფიკაციის არაკომპეტენტური პირის, ან პირების მიერ არის შედგენილი.

რაც მთავარია, ეს „დავალება“ და მისი შედეგები სრულიად უკონტროლო და გაუმჭვირვალეა, ტოვებს უზარმაზარ სივრცეს არაობიექტურობისთვის, წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ სინამდვილეში მოგონილია (საკმაოდ ეშმაკურად) სასურველი კანდიდატისათვის დაუმსახურებელი უპირატესი მდგომარეობის ხელოვნურად შესაქმნელად და კონკურენტების ჩამოსაცილებლად. ამ



„ამ „ნიმუშს“ თუ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ ესაა ნიშანი, რომ ამ სტრუქტურაში „უცხო პირთა“ მოხვედრა შეუძლებელია. თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ ეს ე.წ. დავალება, აბსოლუტურად შეუსაბამოა. „დავალება“ კონკურსანტის კვალიფიკაციის დადგენას არ ემსახურება და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საძრომი! მხოლოდ საინტერესოა ვის მიერ და ვისთვის მოწყობილი? „დავალების“ 80 პროცენტი ინგლისურენოვანია, ასეთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა კი განცხადებაში არ ყოფილა.

დენად, მისი არსებობა ჩრდილს აყენებს მთლიანად პარლამენტის აპარატის კონკურსის მიმდინარე პროცესს და სერიოზულ სკანდალს გამოიწვევს, თუ დადასტურდა ამ გზით საკუთარი პროტეჟეების გაძვრენის მცდელობა“, – ამბობს „კომერსანტის“ მკითხველი.

პარლამენტის აპარატის საკადრო საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მარინე ასათიანის განმარტებით, აღნიშნული დავალება, ისევე როგორც სხვა პუნქტები, თავიდანვე ჩადებული იყო კონკურსის პირობებში და კანდიდატებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ კონკურსში, ამის შესახებ იცოდნენ. ამასთან, ამ პირობების ნახვა ყველა მსურველს შეუძლია პარლამენტის ვებგვერდზე.

რაც შეეხება დავალების შინაარსს და მის ინგლისურ ენაზე შედგენას, ეს თავად საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელობის მოთხოვნაა, პროგრამა საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის მიერაა გაკეთებული, რომელმაც ინგლისური ბრწყინვალედ იცის.

**ასათიანი ამბობს, რომ, თუკი ვინმე ვერ შეძლებს კონკურსის პირობების დაკმაყოფილებას და პრეტენზიები გაუჩნდება, შეუძლია, კონკურსის შედეგები გააპროტესტოს საპრეტენზიო კომისიაში, ხოლო, თუ ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაც არ დააკმაყოფილებს, აქვს შესაძლებლობა, სასამართლოს მიმართოს.**

**commersant.ge**

ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე ყოფილი ხელისუფლების წევრების მიმართ საერთაშორისო ძებნის შეწყვეტას „ქართული ოცნების“ კრახად აფასებს

**როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, აღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის მიზანი არა სამართლიანობის აღდგენა, არამედ მიხეილ სააკაშვილის და მისი თანაგუნდელების პოლიტიკური რეაბილიტაციაა.**

**„ეს არის საქართველოს ხელისუფლების კიდევ ერთი კრახი, რომლითაც პრაქტიკულად ოფიციალურ დონეზე გათეთრდა და გაცოცხლდა დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, რომ ადამიანები, რომლებიც ქართველი ხალხის მიერ იყვნენ ეჭვმიტანილი უმძიმეს დანაშაულებში, თავისუფლად ტოვებენ ქვეყანას, იხსნებიან ინტერპოლის ძებნილთა სიიდან, იგებენ ევროპულ სასამართლოებს, ინიშნებიან მეგობარ სახელმწიფოებში წამყვან პოლიტიკურ თანამდებობებზე, ხოლო მათ მიერ წლების მანძილზე გამწარებული საქართველოს მოსახლეობა მესამე წელია, ელოდება ქვეყანაში სამართლიანობის პროცესის დაწყებას. ეს არის ფაქტი და ამ ფაქტს დღეს მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: როგორც ჩანს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის მიზანი არა მოძალადე რეჟიმის დასჯა, ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება და დატერორებული ხალხისათვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, არამედ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკური რეაბილიტაციაა“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.**

№144. სამშაბათი, 4 აგვისტო, 2015 წელი.

## პოლიტიკური ტურბულენტობა ევროპაში

# ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევცურავთ!




**რუსეთთან კონფრონტაციის შედეგი ვნახეთ... ამდენად ახლანდელი მოზომილი რიტორიკის წყალობით ჩვენ არა გვაქვს ომი რუსეთთან, ასეთია საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მიმართ. მისი თქმით, რუსეთის მისამართით რბილი რიტორიკა არ არის პოპულარული, ხშირად ემოციურად გაუმართლებელია, ბევრისთვის გაუგებარია, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესებია.**

რა ხდება ჟენევაში მოლაპარაკების მაგიდასთან, რამდენად რბილია თავად რუსეთის ტონი, ან რატომ ვერ ვიღებთ სასურველ შედეგს? — ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში მონაწილე დელეგატები ამ თემებზე მედიასთან ღიად საუბარს ერიდებიან. მათი აზრით, საკითხი ძალიან დელიკატურია. და მაინც, ქართული მხარის წარმომადგენლები იმ მცირე გარღვევაზე ალაპარაკდნენ, რომელმაც შესაძლოა, ჯადოსნური წრის სტრუქტურა შეცვალოს.

ქეთევან ციხელაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს ხელისუფლების მიდგომა არ შეცვლილა და მთავარი პოსტულატები იგივე დარჩა. მშვიდობა — ეს არის ერთადერთი გზა კონფლიქტის მოგვარებისა; პირდაპირი დიალოგის მზაობა აფხაზებთან და ოსებთან, ნაკლები პიარი, ნაკლები კონფრონტაციული რიტორიკა. **„რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება რატომღაც არაადეკვატურად აღიქმება. რა თქმა უნდა, ნორმალიზება თავისთავად არ ნიშნავს გადასარევ ურთიერთობას. მაგრამ ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტის შესახებ დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება, მანამდე გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას“,** — ამბობს მინისტრის მოადგილე.

ჟენევის მოლაპარაკებები სამთვიანი შუალედით ტარდება. უკვე მესამე რაუნდია, რაც ქართული დელეგაცია ახალი შემადგენლობით მონაწილეობს. რუსები, როგორც წესი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს „ახალ რეალობას“ უწოდებენ. მათი მხრიდან იყო მცდელობა, რომ ჟენევის შეხვედრების დღის წესრიგი შეცვლილიყო. ჩვენ რა შუაში ვართ, თქვენ უნდა ელაპარაკოთ აფხაზებსა და ოსებს, ასეთია მათი პოზიცია. თუმცა, ქართული მხარე მკვეთრი და შეუვალია. როგორც ვიცით, ჟენევა — ეს არის ერთადერთი ოფიციალური ფორმატი, რომლის საშუალებითაც რუსეთი წარმოჩინდება, როგორც კონფლიქტის მხარე, რომელსაც სერიოზული პრობლემები აქვს მეზობელ საქართველოსთან. ანუ ჟენევის შეხვედრების მოცემულობა ისაა, რომ დიალოგი მიმდინარეობს საქართველოსა და რუსეთს შორის.

ამის პარალელურად არაოფიციალური შეხვედრები მიმდინარეობს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ლონდონში, ბერლინში, სტამბულში. არის საერთო პროფესიული თემები, რომელიც მათ აერთიანებთ, მაგალითად კულტურა, მწერლობა. ოსების პოზიცია გაცილებით რადიკალურია, ვიდრე აფხაზებისა. როგორც ამბობენ, ჟენევაშიც კი იგრძნობა აფხაზებში ანტირუსული განწყობის გაღვივება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამის პარალელურად გაიზარდა პროქართული განწყობა. **„სტერეოტიპულ დამოკიდებულებასთან გვიწევს შეჯახება. ისინიც გრძნობენ, რომ რუსეთი მათ მიმართ შანტაჟის პოლიტიკას მიმართავს, მაგრამ ეს ვითარების ჩვენს სასიკეთოდ შემობრუნების საფუძველს ჯერჯერობით არ გვაძლევს“,** — აღნიშნავს ქეთევან ციხელაშვილი.

ყველასთვის მოულოდნელად ჟენევის შეხვედრების ბოლო რაუნდი „წარმატებული“ აღმოჩნდა. ეს იყო რაუნდი, რომელიც არ ჩაიშალა და სადაც დევნილთა დაბრუნების თემა ბოლომდე განიხილეს.

ჟენევა იძლევა შესაძლებლობას დერეფანში, პრივატულ საუბრებში მხარეებმა ღიად გამოთქვან აზრი, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია. ანუ აქ იქმნება ის კონსტრუქციული ფონი, რომელიც დიალოგის გაგრძელების აუცილებლობაში არწმუნებს დელეგატებს.

საქართველოს საგარეო სამინისტროს წარმომადგენელი **ქეთევან ჭუმბაძე,** რომელიც სულ რამდენიმე რაუნდია, რაც მოლაპარაკებებში ჩაერთო, ამბობს: **„მოლაპარაკებების პარალელურად, რუსეთი ააქტიურებს თავის ანექსიას. ეს უკვე აფხაზებისთვისაც ცხადი ხდება. რუსეთი ღიად ცდილობს, აფხაზეთში უსაფრთხოების ყველა სისტემა ოფიციალური მოსკოვის ხელში გადავიდეს. ჟენევა პოლიტიზებული ფორმატია, რომელიც ხანდახან ეთმობა დავას სტატუსის შესახებ, ხოლო სხვა — მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები განხილვის მიღმა რჩება. სამაგიეროდ, გვაქვს არაფორმალური შეხვედრები ოსებთან, აფხაზებთან... ჩვენ მათ აღვიქვამთ ჩვენს მოქალაქეებად. მართალია, ქართული პასპორტი არა აქვთ, მაგრამ ვესაუბრებით, ვთქვათ როგორც აჭარელებს ან სამეგრელოს მოსახლეობას. განსაკუთრებით აფხაზები ცდილობენ, გაჭრან ფანჯარა საქართველოსთან, მაგრამ რუსეთის აგრესიისაც ეშინიათ. აფხაზებს აინტერესებთ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია“.**

საქართველოს მოქალაქეთა გამოკითხვისას, ტერიტორიული მთლიანობა ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნეოდა. ახლა ასე არ არის... ყოფითმა რეალობამ ეს თემა გადაწონა. ასეთი რაციონალური მიდგომა რომ არსებობდეს აფხაზებსა და ოსებს შორისაც, კონფლიქტის გადაწყვეტის შანსი მეტი იქნებოდა, მიაჩნიათ საქართველოს ოფიციალურ პირებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია** ერიდება, გაასაჯაროვოს მოლაპარაკების დეტალები: **„როგორც კი რაღაც კონკრეტული საკითხები გავა მედიაში, ისინი სტრატეგიას ცვლიან. აფხაზური მხრიდან შეხვედრებში 25-30 წლის ახალგაზრდები მონაწილეობენ. ისინი გამოირჩევიან მოკრძალებით, თავმდაბლობით, თუმცა, პრინციპულები არიან. რამდენიმეს მშობელს ძალიან ახლოს ვიცნობდი. ეს იციან, მაგრამ მეგობრობის მიუხედავად არაფრის დათმობას არ აპირებენ. მოლაპარაკების მაგიდაზე არ ვამბობთ ისეთ სიტყვებს, რომელიც მათ გააღიზიანებს. მაგალითად, სიტყვა „ოკუპაციას“ თუ ვახსენებთ, მთელი დრო შეიძლება დაიხარჯოს იმის მტკიცებაზე, არის, თუ არ არის ასე“.**

აფხაზეთსა და ოსეთში, ფაქტია, რომ არ ულხინთ. სოციალური საკითხები, განსაკუთრებით ჯანდაცვა უმძიმესი თემაა. როგორც ცნობილია, ჰოსპიტალებს არა აქვთ სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა, არა ჰყავთ რეანომობილები, საკმარისი სამედიცინო პერსონალი, მედიკამენტები და სხვა. საქართველოს მხარე მზად არის დასახმარებლად, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ისინი უარს ამბობენ. მძიმე დღეშია აფხაზეთის ეკო-სისტემა. აფხაზეთში თითქმის სრულად ნადგურდება ბზა და ამ საკითხზე დახმარების ინიციატივით თავად აფხაზები გამოვიდნენ. სერიოზული კამათი მიმდინარეობს აფხაზეთში ქართული ენის სწავლების შესახებ. რაში სჭირდებათ აფხაზეთში ქართული ენა, სად უნდა გამოიყენონ? რატომ თქვენ არ აღიარებთ მეგრულ და სვანურ ენებსო, ამაზეც კი აპელირებენ აფხაზები... დევნილების დაბრუნების თემა და ქართველებთან ერთად თანაცხოვრების დაშვება, ყველაზე მტკივნეული და ლამის მიუღებელი საკითხია, თუმცა, მაინც მსჯელობენ... ესეც ერთგვარი იმედია.

**და ბოლოს, ჟენევის შეხვედრის დელეგატების თქმით, ამ ფორმატმა ძირითადად უნდა იმუშაოს დეოკუპაციის საკითხებსა და უსაფრთხოებაზე... აფხაზებისა და ოსების კატეგორიული მოთხოვნაა, საქართველომ ხელი მოაწეროს დოკუმენტს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ამ ორი „ახლადშექმნილი სახელმწიფოს“ მიმართ. ეს თემაც დიდი ხანია, იტკეპნება... ძალის გამოუყენებლობის შესახებ წინ ვერ მივდივართ, ძნელია მისი გადაწყვეტა საერთაშორისო ზემოქმედების გარეშე, — აცხადებენ დელეგატები.**

**თეა მოსია**

## საგარეო ვაჭრობა

# საქონელი ისეთი უნდა იყოს, აქეთ გეხვეწებოდნენ – მოგვაწოდეთო!

**უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების ნაკადის შემცირებამ, რაც, უწინარესად, სამხრეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, ყველაზე მეტად კი საბერძნეთში, არალეგალ მიგრანტთათვის სამშობლოში სახსრების გადარიცხვაზე დაწესებულ გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, ეკონომიკური ვითარების დამძიმებას, „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკისა და სხვა ღონისძიებათა გატარებას მოჰყვა, საქართველოში ვალუტის შემოდინების საგრძნობი კლება გამოიწვია. ამ ფონზე კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ადგილობრივი პროდუქციის იმპორტის როლი, რომელიც ყველა ქვეყანაში სავალუტო სახსრების მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ამ მხრივ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო თვეებში მდგომარეობა დიდად სახარბიელო არ არის, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ლარის გაუფასურებასაც უწყობს ხელს და მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალურ მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახება.**

ზოგადად თუ ვიტყვით, წლის განვლილ პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არასახარბიელო ტენდენცია იკვეთება. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 4 მილიარდ 762 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 13 პროცენტით ნაკლებია. თუმცა, ეს ექსპორტ-იმპორტის მთლიანი მაჩვენებელია, ხოლო რაც შეეხება ცალკე აღებულ პირველ მდგენელს, აქ მდგომარეობა უფრო არადამაკმაყოფილებელია: ექსპორტის წილად მხოლოდ მილიარდ 82 მილიონი დოლარი მოდის, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის მეოთხედით (!), 24 პროცენტითაა შემცირებული. თუმცა, ისიცაა, რომ ფულადი გამოხატულებით მოიკლო იმპორტის მოცულობამაც — 9 პროცენტით და 3 მილიარდ 680 მილიონი დოლარი შეადგინა. ამრიგად, **წლევანდელ იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსია 2 მილიარდ 598 მილიონი დოლარი,** რაც მისი მთელი ოდენობის ნახევარზე მეტია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მოცულობა იანვარ-ივნისის პერიოდში ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან (ცხადია, ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა გამოკლებით) დაახლოებით ერთ დონეზეა. შესაბამისად, მილიარდ 434 მილიონი და მილიარდ 365 მილიონი დოლარი. მათგან პირველი მაჩვენებელი, ანალოგიურ შარშანდელთან შედარებით, 2 პროცენტითაა გაზრდილი, ხოლო მეორე კი, პირიქით, 21 პროცენტით შემცირებული. **ევროკავშირის ქვეყნებში სამამულო საწარმოების პროდუქციის ექსპორტის ღირებულებამ სულ 293 მილიონი დოლარი შეადგინა,** რაც 2-პროცენტიანი კლებაა, დანარჩენი მილიარდ 141 მილიონი დოლარი ექსპორტის წილად მოდის, რაც 3-პროცენტიანი ზრდაა. შედარებით მეტი საქონელი (417 მილიონი დოლარის ღირებულების) გაგვაქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, თუმცა კი, ეს პარამეტრიც მნიშვნელოვნად (45 პროცენტით) ჩამორჩება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს. ასევე ოდნავი კლებაა (2 პროცენტით) იქიდან იმპორტირებული პროდუქციის მხრივაც.

ევროკავშირის ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში 30 პროცენტია, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების წილი კი 28 პროცენტს უდრის.

განვლილ ექვს თვეში ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ისევე, როგორც წინა წლებში, **თურქეთი, აზერბაიჯანი** და **ჩინეთი** იყვნენ, მათ შემდეგ კი რუსეთი. ცნობილ მიზეზთა გამო უაღრესად შემცირებულია სავაჭრო ურთიერთობები **უკრაინასთან,** რაც, უწინარესად, ჩვენებური ღვინის ექსპრორტზე აისახა.

რაც შეეხება ქართული ექსპორტის სასაქონლო ჯგუფებს. ამ მხრივ მდგომარეობა, გარკვეული გამონაკლისის გარდა, არსებითად იგივეა, რაც წინა წლებში. პირველ ადგილზე, როგორც ყოველთვის, **სპილენძის მადანი** და **კონცენტრატებია,** რომელთა წილად მთელი ექსპორტის 12 პროცენტი მოდის (120 მილიონი დოლარი). 10-პროცენტიანი წილით **ფეროშენადნობებია** (110 მილიონი დოლარი), სავაჭრო ოპერაციების რიცხოვნობის საგრძნობი შემცირების მიუხედავად, მესამე ადგილზე **მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტია** (99 მილიონი დოლარი).

ბოლო დროს საგარეო ვაჭრობაში ერთობ შესამჩნევია **თხილისა** და **ნიგვზის** სასაქონლო ჯგუფი, რომელიც **სამკურნალო საშუალებებთან, აზოტოვან სასუქებთან, მინერალურ წყლებსა და ღვინოსთან ერთად საექსპორტო საქონლის ნუსხის ზედა ნახევარშია.**

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უკრაინაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირების გამო, სხვა სასაქონლო ჯგუფების დარად, მნიშვნელოვნად შემცირებულია საქართველოდან ღვინის ექსპორტი. თუ შარშან წლის პირველ ნახევარში ღვინის ექსპორტის ღირებულება 84 მილიონი დოლარი იყო, წლეულს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 39 მილიონს უდრის.

ამდენად, ექსპორტის ზრდის და ქვეყნის უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის შემცირების გზა ახალ ბაზრებზე დამკვიდრებაა, რის უცილობელი პირობა, სათანადო რეკლამა და, ცხადია, უზადო ხარისხია.

**დალი ხუნდაძე**

# რეგიონულ ძალას დიდი გასაქანი აქვს

## ირანი – საერთაშორისო ყურადღების ცენტრში

**ირან-„ექვსეულს“ (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) შორის ვენის მოლაპარაკებების დასრულებისთანავე, რომ გრძელი რიგი დადგებოდა ირანის საჰაერო კარიბჭე — ხომეინის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში, ეჭვი არავის ეპარებოდა.**

ირანის კარზე სტუმრიანობა გრძელდება. გერმანიის, საფრანგეთის, ევროკავშირის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელების, სხვა ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალური პირების ვიზიტები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დავუმატოთ ამას მსოფლიოში ცნობილი ნავთობისა და გაზის კომპანიების პრეზიდენტები, სხვა ბიზნესის წარმომადგენლები და მივიღებთ ერთობ მჩქეფარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, რასაც რა ხანია ადგილი არ ჰქონია ირანში. ყველა ცდილობს ირანის ეკონომიკაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, რისთვისაც არც ძალას და არც ენერგიას არ იშურებს. ესაოდა, აშშ-ის ადმინისტრაცია თანახმაა ირანთან ახალი ურთიერთობების დაწყებისთვისო და ყველანი, როგორც „ინდაურის ჭუკები“ გუშინდელი ისტორიის დავიწყებით, ცდილობენ არ ჩამორჩნენ „დედა ამერიკას“. ვიღას ახსოვს სანქციები, ყველა გამორჩენითაა დაკავებული.

რას ფიქრობენ ხელშეკრულების მიმართ უაღრესად ნეგატიურად განწყობილი ქვეყნები, ისრაელი და საუდის არაბეთი? ისინი, როგორც ყოველთვის, მიიჩნევენ, რომ ხელშეკრულება გზას გაუხსნის ირანს აწარმოოს ბირთვული იარაღი. ისრაელი თვლის, რომ ხელშეკრულება არის ისტორიული შეცდომა.

ცალ-ცალკე შევაფასოთ „ექვსეულის“ პოზიცია.

აშშ-ს მიხედვით, ირანთან უნდა დაიწყოს ახალი ურთიერთობები — დიპლომატიურიდან, ეკონომიკით დამთავრებული. დაახლოების შემთხვევაში აშშ შეეცდება ირანი თავის სასარგებლოდ გამოიყოს, როგორც ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, ისე კავკასიის, რუსეთის, ცენტრალური აზიისა და ჩინეთის მიმართულებით.

თუმცა, მრავალწლიანი მტრული დამოკიდებულება ირანის მიმართ და ამ უკანასკნელის იგივე მიდგომა ამერიკისადმი, ნაკლები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, რაც დადასტურდა ირანის მეთაურის აიათოლა ხამენეის გამოსვლით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირან-აშშ-ის ურთიერთობები არ გასცდება ხელშეკრულების ჩარჩოებს. ირანი არ ითანამშრომლებს აშშ-სთან სხვა საერთაშორისო საკითხებში.

ურთიერთობა უდავოდ იქნება, მაგრამ თანამშრომლობაზე გადასვლას არაერთი წელიწადი დასჭირდება. ირანი იოლად არ ივიწყებს წყენას, მითუმეტეს მტრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს დღესაც.

აშშ-ის ახალი სამხედრო დოქტრინის მიხედვით, ირანი მოხსენიებულია როგორც ტერორიზმის მხარდამჭერი. აშშ მიიჩნევს, რომ სანქციების მოხსნის შედეგად ირანს გაუჩნდება საკუთარი გაზის ევროკავშირში შეტანის შანსი, რაც სერიოზული ალტერნატივა იქნება რუსეთის გაზისთვის.

რაც შეეხება ევროკავშირს — სანქციების მოხსნით ის ბევრს ელის ირანისგან, უპირველესად, ახალ ეკონომიკურ კავშირებს, ირანის ვრცელი ბაზრის ათვისებას, სარფიან კონტრაქტებს და ენერგომატარებლებს. მკვდრადშობილ „ნაბუკოს“ პროექტს რეანიმაცია უწერია, თუ აზერბაიჯანულ გაზს ირანულიც დაემატება. მარტო აზერბაიჯანის ბუნებრივი აირი არ არის საკმარისი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ჩინეთის პოზიცია სხვაა. მას კარგა ხანია, აქვს ირანთან მჭიდრო ეკონომიკურ-ენერგეტიკული თანამშრომლობა. ჩინეთი ყიდულობს ირანის ენერგომატარებლებს და სანქციების მოხსნასთან ერთად გაზრდის მოცულობას. ჩინეთი იმედოვნებს, რომ მიაღწევს ირანული ენერგომატარებლების ფასების შემცირებას. ირანს, ჩინეთის ახალ პროექტში — „აბრეშუმის გზა“ ერთობ სასიცოცხლო პოზიცია უკავია, გამომდინარე გეოგრაფიული მდებარეობიდან, ქვეყნის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პოტენციალიდან.

სანქციების მოხსნა გააუმჯობესებს რუსეთ-ირანის ორმხრივ თანამშრომლობას, მასშტაბურად აამოქმედებს ბუშერის ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებული ახალი ბლოკების მშენებლობას, სამხედრო დარგში თანამშრომლობას.

რუსეთის დახმარებით უნდა მოხდეს ფორდოს ბირთვული კვლევის ცენტრის სამედიცინო ცენტრად გადაკეთება. სხვა მნიშვნელოვანი პროექტების ამოქმედების შესაძლებლობას აჩენს სანქციების მოხსნა, მათ შორისაა სომხეთ-ირანის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა. ამ პროექტს თავგამოდებით ლობირებს სომხეთის ხელისუფლება. პრეზიდენტმა სარგსიანმა უფაში გამართულ „შოსის“ კონფერენციაზე ილაპარაკა სომხეთ-ირანის რკინიგზის მომავალზე. სომხეთ-ირანის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობის დასრულების შემდეგ სომხეთს გაუჩნდება სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში გასვლის შანსი და არა მარტო სომხეთს, არამედ საქართველოსა და რუსეთს.

სტრატეგიული თვალსაზრისით ამ რკინიგზას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის და, ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვისაც, მაგრამ იფიქრებს საქართველოს ხელისუფლება პრაგმატულად? პრაგმატულად ფიქრი აუცილებელია თბილის-სოხუმის რკინიგზის ხაზის აღდგენისთვის და თუ ეს განხორციელდა ირან-სომხეთ-საქართველო-რუსეთის გავლით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან წამოსული ტვირ-




**პატარა მიწაზე, ამიერკავკასია რომ ჰქვია, საქართველო მურმანის ეკალივით ამოიწვერა მეზობლებს შორის.**

თები, დიდი დანახარჯის გარეშე, გავა ევროპის ქვეყნებში და არა მარტო იქ, არამედ ყველა სატრანზიტო ქვეყანაში.

საინტერესო პროექტია და მას სწრაფი რეაგირება სჭირდება საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან. თუ ასეთს ექნება ადგილი, რუსეთს არ გაუჭირდება აფხაზეთის ხელისუფლების დაყოლიება. აფხაზეთიც ხომ ისე, როგორც საქართველო ტვირთების ტრანზიტიდან მიიღებს შემოსავალს?!

რაც შეეხება ირანს - სანქციების გაუქმებას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. 10-12-წლიანმა შეზღუდვამ ნეგატიურად იმოქმედა ირანის ეკონომიკაზე, გამოიწვია ინფლაცია და ყველა ის „სიკეთეები“, რასაც ადგილი აქვს სანქციების შემთხვევაში. ირანში უდაოდ გაიზრდება უცხოური ინვესტიციები, განსაკუთრებით ენერგეტიკაში.

ირანს ესაჭიროება დასავლური ტექნოლოგიები ნავთობის მოპოვება-დამუშავება-ექსპორტის საკითხებში. ირანული ნავთობის სრულფასოვანი ექსპორტისთვის საჭირო იქნება 300-400 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. სანქციების მოხსნისთანავე ირანს შესაძლებლობა ექნება, გამოიყენოს საკუთარი 100 მილიარდი დოლარი ქვეყნის მოთხოვნილებისდამიხედვით. ეს თანხა რა ხანია გაყინულია დასავლურ ბანკებში.

გარდა ეკონომიკურ-ფინანსური დივიდენდებისა, ირანი ხდება საერთაშორისო პოლიტიკის სრულფასოვანი მონაწილე. მას გზა ეხსნება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრობისკენ. ეს ქვეყანა, დღიდან ორგანიზაციის შექმნისა, არის დამკვირვებლის სტატუსით.

ასე რომ, ირანის როლი საერთაშორისო ცხოვრებაში დღითი დღე გაიზრდება, რაც საყურადღებო უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელმაც მიუხედავად არაერთი დაპირებისა, არ შეასრულა ირანის მხარის მოთხოვნები — არც საჰაერო მიმოსვლის დაწესების, არც ვიზებთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგებისთვის.

ირანელთათვის საქართველოს ვიზის მისაღებად 50-პუნქტიანი კითხვარის 20 პუნქტამდე დაყვანა და ათი დღის განმავლობაში ვიზისთვის ყურყუტი, სულაც არ ნიშნავს გაიოლებას, მითუმეტეს ისეთივე წესს, რაც ირანს აქვს შემოღებული საქართველოს მოქალაქეებისთვის — ყოველგვარი ვიზის გარეშე ირანის საზღვრის გადაკვეთა.

როდესაც საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი თავისი ვიზიტის დროს ურუგვაიში, ჩილესა და არგენტინაში აფორმებს ამ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას, რა დააშავა ირანმა, ჩინეთმა, ეგვიპტემ, ერაყმა?! ეს ის ქვეყნებია, განსაკუთრებით ირანი, საიდანაც ათეულათასობით ტურისტი შემოდიოდა და საქართველოს ბიუჯეტს საგრძნობ შევსებას აძლევდა.

ამერიკა-ისრაელ-ევროკავშირის ფეხისხმას აყოლილი საქართველოს ხელისუფლების შეცდომამ ასეულათასობით დოლარის დანაკლისი მიაყენა ბიუჯეტს. იქნებ ახლა მაინც დაფიქრდნენ ქვეყნის მმართველი „ქოცები“ და „სტრატეგიული პარტნიორის“, აშშ-ის მსგავსად გადადგან ნაბიჯი საკუთარი უნიათობის შედეგად გამოწვეული შეცდომის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული განხილვის თემად უნდა იქცეს თბილის-სოხუმის რკინიგზის აღდგენა და სომხეთ-ირანის რკინიგზასთან მიერთება. ამ საკითხებს „ურა“ პატრიოტიოზმი არ უშველის, არც რუსეთთან ულტიმატუმებით ლაპარაკი. დროა, თავი დავანებოთ პროვინციალიზმს და ვიფიქროთ პრაგმატულად, სახელმწიფოებრივად. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოვჩნდებით სამ დიდ ორგანიზაცია „შოსსა“ და ევროკავშირ-ნატოს შორის უხერხულად გაჩხერილ ქვეყნად.

საქართველომ სხვაგან უნდა ეძებოს ხსნა და ეს სხვა არც ნატო და არც ევროკავშირი არ უნდა იყოს. საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულად და არა ზედაპირულად უნდა იფიქროს — ამიერკავკასიის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე. აღნიშნულზე ფიქრი, პრობლემებით დახუნძლული ქვეყნისთვის, ძნელი საქმეა, მაგრამ რა გაეწყობა, რეგიონში შექმნილი ვითარება გვიკარნახებს ამას.

არაერთხელ მითქვამს, რომ გეოპოლიტიკური მოსაზრება უნდა შეთანხმდეს მეზობელ ქვეყნებთან, რაც არ გაკეთებულა. კარგად მახსოვს, ამ საუკუნის დასაწყისში ჩვენს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელიც ბათუმში გაიმართა, ნატოელი ექსპერტების საფუძვლიანი გამოსვლები ისეთ თემასთან დაკავშირებით, როგორიცაა: „სამხედრო კავშირებში ყოფნა თუ ნეიტრალიტეტი“. ევროპელი ექსპერტები გვირჩევდნენ ნეიტრალიტეტის გზას.

კონფერენციის მონაწილე სომეხმა პოლიტოლოგმა გვისაყვედურა - საქართველო ნატოსკენ მიგყავთ და მეზობლებს არაფერს გვეუბნებითო. და მართლაც, არც ბაქო და არც ერევანი თბილისს არ გაუფრთხილებია — ნატოსკენ მივდივართ და თქვენი აზრი როგორი იქნებაო? ისინი თავისთავად მიხვდნენ ჩვენს გულისნადებს.

მაგრამ ეს ყველაფერი იყო. რა გვაქვს დღეს?! დასავლეთისკენ მკვეთრად გადახრილი საქართველო და „შოსთან“ კავშირში მყოფი მეზობლები — აზერბაიჯან-სომხეთის სახით. პატარა მიწაზე, ამიერკავკასია რომ ჰქვია, საქართველო მურმანის ეკალივით ამოიწვერა მეზობლებს შორის. მართალია, მიმდინარე ეკონომიკურ თანამშრომლობას ეს ჯერჯერობით ხელს არ უშლის, მაგრამ მომავალში რომ შეუშლის, ფაქტია.

„შოსის“ ინტერესები სხვაა, ხოლო აშშ-ნატოს — სხვა. „შოსი“ და „ბრიკსი“ იბრძვიან ერთპოლუსიანი მსოფლიოს წინააღმდეგ. ისინი მრავალპოლუსიანობის მომხრეები არიან, რაც აშკარად გამოიკვეთა უფაში ჩატარებული სამდღიანი სამიტის დროს.

უფაში მოხდა „პარალელური“ საფინანსო ინსტიტუტების „ბრიკსის“ განვითარების ბანკისა (ის არის მსოფლიო ბანკის „დუბლიორი“) და „ბრიკსის“ სავალუტო რეზერვების (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსგავსი) ინსტიტუტების შექმნა.

„ბრიკსის“ სტრატეგია გამოიხატება შემდეგში — აიძულოს აშშ და ევროკავშირი ჩაატარონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმა, ამ ორგანიზაციაში საკუთარი კვოტების გაზრდის მიზნით. ვაშინგტონის თანხმობის შემთხვევაში იოლად მოხდება ერთპოლუსიანობიდან მრავალპოლუსიანობაზე გადასვლა. თუ აშშ არ დათანხმდება, „ბრიკსს“, საკუთარი საფინანსო სისტემა ექნება.

„ევრაზიული“ პროექტების მთავარი მიზანი დემოკრატიულობაშია, აგრეთვე მოთმინებაში, ერთმანეთის ატანაში, მონოპოლიზმის უარყოფაში. ორივე ორგანიზაცია გამორიცხავს რომელიმეს დიქტატს. ორივე დაფუძნებულია კოლექტივიზმზე. ყველა ისინი ფიქრობენ, „დოლარული პირამიდის“ ნანგრევებზე შექმნან რამდენიმე რეგიონული ზონა, საკუთარი ვალუტით.

ევრაზიული „გლობალიზაციის“ განსაკუთრებულობა იმაშიც გამოიხატება, რომ მიმართულია მსოფლიო წესრიგის თანდათანობითი გარდაქმნისაკენ და არა რევოლუციისკენ. ევრაზიული კავშირის მიზანი არ არის დასავლეთთან დაპირისპირება, არამედ აშშ-ევროკავშირის „რბილ იძულებაში“ — უფრო სამართლიანი და ჰარმონიული მსოფლიო წესრიგის შესაქმნელად.

**რა გაეწყობა, მსოფლიო განვითარებას თავისი წესები აქვს, დაუწერელი, წინასწარ გაუთვლელი. როგორც ჩანს, თავდება ერთპოლუსიანობა და მის ნაცვლად მრავალპოლუსიანობა ისადგურებს, სადაც რეგიონულ ძალას გაცილებით დიდი გასაქანი ექნება, ვიდრე დისტანციურს. რეგიონში კი რუსეთს მეტოქე არ ჰყავს. და რახან ასეა, საქართველოც იძულებული იქნება შესაბამისი ნაბიჯები გადადგას.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

**◉ ალიან-ჩალიანი**

## თურქეთთან და თურქ ხალხთან გულწრფელი ურთიერთობები გვაკავშირებს

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს(TIKA) პრეზიდენტ სერდარ ჩამთან შეხვედრისას განაცხადა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მაღალმთიან აჭარაში, ბეშუმობის დღესასწაულს ქართველები და თურქები კვირას ერთად ზეიმობდნენ.**

**შეხვედრაზე საუბარი საქართველო-თურქეთის სტრატეგიულ ურთიერთობებს და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო.**

**TIKA-ს წარმომადგენლობა საქართველოში 1994 წლიდან მუშაობს და ამ პერიოდის განმავლობაში სააგენტოს განხორციელებული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი საქველმოქმედო პროექტი — საგანმანათლებლო, კულტურის, ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის მიმართულებით. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას TIKA-ს პრეზიდენტმა საქველმოქმედო პროექტების გაგრძელების მზადყოფნა კიდევ ერთხელ დაადასტურა.**



# წყალი სვით, გულს დაეხმარეთ!

**ექიმები ამტკიცებენ, რომ ზაფხულში გულის „მოკვლა“ გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ზამთარში, რაც ჰაერის მაღალ ტემპერატურასა და ორგანიზმის გაუწყლოებასთანაა დაკავშირებული.**

თუკი პლაჟზე მზეში ყოფნისას ან ფიზიკური დატვირთვის შედეგად გადახურდით და გრილ წყალში ჩახტომა გადაწყვიტეთ, გაოფლილი თავს უცბად ნუ დაისველებთ, გვირჩევენ მედიკოსები. წყალში ნელ-ნელა, დინჯად შედით, რათა სისხლძარღვებმა ტემპერატურის სხვაობის შეგუება მოასწროს. განსაკუთრებით სახიფათოა ჰაერისა და წყლის ტემპერატურათა მკვეთრი სხვაობა (ვთქვათ, ჰაერისაა +30c, ხოლო წყლის +20c მათთვის, ვისაც ათეროსკლეროზი ან გულის იშემიური დაავადება აქვს. სისხლძარღვთა სპაზმს სტენოკარდიული შეტევის ანდა, სულაც, ინფარქტის გამოწვევა შეუძლია.

ისინი კი, ვინც ბაღში მიწასთან თავდახრილი მუშაობს, დროდადრო წელში უნდა გაიმართონ, ვინაიდან ამ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა თავის ტვინის სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას არღვევს, რასაც ძლიერი თავბრუსხვევა და წნევის მკვეთრი აწევა შეიძლება მოჰყვეს, რასაც გრძნობის დაკარგვისა და ინსულტის გამოწვევა შეუძლია. ამიტომ, უმჯობესია, საქმე ადრე დილით ან საღამოთი გააკეთოთ, თანაც ეცადეთ ყოველ ნახევარ საათში შეისვენოთ, თან პატარა სკამიც იქონიეთ, რომ სულ თავდახრილი ყოფნა არ მოგიწიოთ. ხელთ გქონდეთ ბოთლი წყლით, რათა ორგანიზმში წყლის ბალანსი სულ გაწონასწორებული იყოს. გულისცემის გახშირების, ჰაერის უკმარისობის, კისრის სისხლძარღვთა პულსაციის წარმოშობისთანავე მუშაობა უნდა შეწყვიტოთ, თავი ჩრდილს შეაფაროთ და წყალი დალიოთ.



და კიდევ ერთი: მათ, ვისაც გულის სისხლძარღვთა დაავადება აქვთ, უმჯობესია ზღვაზე აგვისტოს მიწურულს ან სექტემბერში დაისვენონ.

* * *

**ცხელ ამინდში ადამიანი ბევრ სითხეს კარგავს, რის შედეგად სისხლი სქელდება, ამან კი შესაძლოა, თრომბების (სისხლის შედედების) წარმოშობის, ინფარქტისა ან ინსულტის პროვოცირება გამოიწვიოს.**

ამიტომაც, ამ დროს დღე-ღამეში არანაკლებ 2-3 ლიტრი წყალი უნდა დალიოთ. გახსოვდეთ: როცა გწყურიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი უკვე წყლის დეფიციტს განიცდის, რის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია წყალი მოწყურებამდე დალიოთ.

იმის გამო, რომ ოფლთან ერთად ორგანიზმი ელექტროლიტებსაც — კალიუმს, ნატრიუმსა და მაგნიუმს კარგავს, სიცხეში სასარგებლოა არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ მინერალური წყლის სმაც. ასევე სასარგებლოა ცოტაოდენი წყლით გაზავებული წითელი ღვინის დალევაც, რომელიც სისხლის შედედების საწინააღმდეგო ნივთიერებებს შეიცავს.

კარგი იქნება, თუ სიცხეში ხორცის ჭამას მოერიდებით, რადგან მასში შემავალი ქოლესტერინი სისხლძარღვებში ილექება, რამაც შესაძლოა, მათი დაცობა გამოიწვიოს. გარდა ამისა, ხორციანი საკვები სიცხეში მძიმე მოსანელებელია. ორგანიზმის დამატებით გაუწყლოებას ასევე მაგარი სპირტიანი სასმელები იწვევენ, ლუდის მაგივრად კი უმჯობესია ოჯახური კომპოტები მიირთვათ — ისინი არა მარტო წყურვილს კლავენ, არამედ დიდი ოდენობით ვიტამინებსაც შეიცავენ. ასევე რეკომენდებულია ბოსტნეულის წვნიანების, მწვანილით შეკმაზული მსუბუქი სალათების მირთმევა.

# არაჯანსაღი ნამზეური

**ზაფხულში, ზღვის კურორტზე დასასვენებლად ჩასული, ბევრი ჩვენგანი პლაჟზე მზეს ხარბად მიეფიცხება ხოლმე, რისი შედეგიც ხშირად სავალალოა. შეუჩვეველი ორგანიზმისთვის დიდი ხნის მანძილზე მზის აბაზანების მიღება მავნეა, ამას, შეიძლება, არასასიამოვნო შედეგი, მათ შორის კანის დამწვრობა მოჰყვეს.**

განსაკუთრებით კი ეს ბავშვებისთვისაა სახიფათო. მეცნიერებმა დაითვალეს, რომ **ბავშვობაში მიღებული მზის სამი დამწვრობის შემდეგაც კი, შემდგომში კანის სიმსივნის განვითარების საფრთხე მნიშვნელოვნად იზრდება, მზის დამწვრობის ექვსი შემთხვევის შემდეგ კი მელანომის საფრთხე სულაც ორჯერ მატულობს!** სხვათა შორის, მელანომა — ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სიმსივნეა. ბევრნი დარწმუნებულნი არიან, რომ მზის დამწვრობა იმიტომ მოსდით, რომ თავდაპირველად კანი თეთრია. პირველი დამწვრობის შემდეგ კანში მელანინი წარმოიშვება — ეს სწორედ ის პიგმენტური ნივთიერებაა, რომელიც გარუჯული კანის შთაბეჭდილებას ტოვებს და, ამავდროულად, მას მომდევნო დამწვრობისგან იცავს. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის, რადგან მელანინი კანისთვის მეტად სუსტი დაცვაა. კიდევ ერთი მეტად არასასიამოვნო გარემოება კი ისაა, რომ **ძალიან ბევრი ადამიანი დამწვრობის გარეშე ვერ გაირუჯება, თანაც ამის შემდეგაც ნამზეურევი არა ჯანსაღი მოყავისფრო-ოქროსფერია, არამედ გაურკვეველი რუხი ელფერის მქონე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ, თურმე, მზის დამწრობის მიღების (ან არმიღების) უნარი გენეტიკურადაა განპირობებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრმა თავი უნდა დაანებოს ბრინჯაოს გარუჯვაზე ოცნებას და საკუთარ გენეტიკას შეურიგდეს.**

ნამზეურევი ადამიანი ხშირად სრულიად ჯანმრთელად აღიქმება, რა დროსაც იტყვიან კიდეც „ჯანმრთელად გარუჯულიაო“, თუმცა, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ეს ასე სულაც არ არის. ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ, მზის ულტრაიისფერი გამოსხივება მუტაციის გამომწვევი ყველა დანარჩენი სახეობის გამოსხივების მსგავსია. იგი ასტიმულირებს თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ კანის უჯრედების გენეტიკურ აპარატზე. **რაც უფრო მეტად ძლიერი, ხშირი და ხანგრძლივია დასხივება, მით უფრო დიდია უჯრედის ავთვისებიან სიმსივნედ გადაგვარების საფრთხე**. სწორედ ამით აიხსნება კავშირი მზის დამწვრობებსა და მელანომას შორის. ამიტომ **ექიმები გვირჩევენ, რომ მაქსიმალურად მოვერიდოთ დამწვრობებს და ვეცადოთ რუჯი შოკოლადისფრამდე არ მივიყვანოთ**.

მედიკოსები 25-ზე მეტ სნეულებას ითვლიან, რომლებიც წარმოიშვება ან ძლიერდება მზის სხივების ზემოქმედების შედეგად. თანაც ისინი მარტო კანსა და თვალებთან არ არიან დაკავშირებულნი, რომლებზეც კაშკაშა მზე უშუალოდ მოქმედებს. მაგალითად, მზის ულტრაიისფერ გამოსხივებას ზედაპირულ ფენებში შეღწევა და კანსშიგნითა კაპილარებში გამდინარე სისხლის უჯრედების დასხივება შეუძლია.



პირველ რიგში ზიანი იმუნური სისტემის უჯრედებს ადგებათ, ამიტომაც ინფექციებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარი კლებულობს. ამ საფრთხის ჯეროვნად შეუფარებლობა ყოვლად დაუშვებელია: საქმე ისაა, რომ 11 წუთში უწვრილეს სისხლძარღვებში ადამიანის პრაქტიკულად მთელი სისხლი გადის. მაშასადამე, პლაჟზე ან სოლარიუმში, როცა მზის (ნამდვილისა თუ ხელოვნურის) ქვეშ ჩვენი სხეულის უმეტესი ნაწილი იმყოფება, სისხლის დასხივება შესაძლოა, ძალიან დიდი იყოს.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ საიმისოდ, რომ ეს ხიფათი თავიდან ავიცილოთ?

**პლაჟზე უმჯობესია გავირუჯოთ ჩარდახის ქვეშ: ზღვის ტალღები, ქვიშა, ქვები — ყველაფერი ეს უამრავი პატარ-პატარა სარკეა, რომელიც მზის სხივებს ირეკლავს. ჩრდილში გარუჯვა გაცილებით უვნებელია,** თანაც ამ დროს ვიტამინი D საკმარისად წარმოიქმნება. 11-დან 16 საათამდე ღია მზეში ყოფნას უმჯობესია, მოერიდოთ, თანაც ყოველთვის ეცადეთ მზისგან დამცავი საცხი გამოიყენოთ. ეს რჩევა მამაკაცებსაც ეხებათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ საცხებში ქალის ჰორმონების მსგავსი ნივთიერებებია — მათი მოქმედება შემდეგ გარუჯვის გადასვლასთან ერთად შეწყდება. ფეხმძიმე ქალბატონები კი მათ მოხმარებას უნდა მოერიდონ, რადგან ეს ნაყოფს ვნებს. ამავე დროს ზაფხულში არც თავისა და სხეულის სხვა დაუფარავი ნაწილების დაცვა არ უნდა დაგავიწყდეთ.

## ინფორმაცია თემაში

**რა შეიძლება მოჰყვეს მზეში დიდხანს ყოფნას**

### კანის დაავადებები

- **მელანომა (ავთვისებიანი სიმსივნე);**
- **ბაზალურუჯრედოვანი და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომები (ავთვისებიანი, თუმცა ნაკლებად სახიფათო სიმსივნეები);**
- **დამწვრობა;**
- **ფოტოდაბერება (სიმშრალის ნაადრევი განვითარება, ნაოჭები და პიგმენტური ლაქები);**
- **ფოტოდერმატოზები (ფოტოალერგია, პიგმენტაცია, გარქოვანება და სხვა.).**

### თვალის დაავადებები

- **რქოვანას კიბო და კონიუქტივები;**
- **კატარაქტა (ბროლის ამღვრევა);**
- **მზის რეტინოპათია (ბადურის დაზიანება).**

### იმუნური სისტემის დაავადებები

- **იმუნიტეტის დათრგუნვა;**
- **ინფექციური დაავადებებისადმი მიდრეკილების ზრდა;**
- **პროფილაქტიკური აცრების მოქმედების შესუსტება;**
- **ორგანიზმში ლატენტური (მიძინებული) ვირუსების აქტივაცია.**

### სხვა სნეულებები

- **არაჰოჯკინური ლიმფომები (ლიმფური სისტემის ავთვისებიანი დაავადებები).**

## ექიმები გვაფრთხილებენ!

**მზის სხივებისადმი ორგანიზმის მგრძნობიარობის ამაღლებას ხელს უწყობენ:**

- **წამლები:** ბისეპტოლი და სხვა სუფანილამიდები, ზოგიერთი დიაბეტიკებისთვის განკუთვნილი პრეპარატი, მრავალი ტრანკვილიზატორი (დამამშვიდებელი) და ანტიბიოტიკები (ტეტრაციკლინი, დიოქსიცილინი), ქალებისთვის განკუთვნილი ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები.
- **სურსათი**: ციტრუსები და მათი წვენები (განსაკუთრებით გრეიპფრუტისა და ფორთოხლის), ნიახური, ანისული, ძირთეთრა, კამა, ქინძი, ოხრახუში, ძირა, შაქრის შემცველი ციკლამატი.

სადღეისო, აქტუალური

# ისტორია სიმართლის გაყალბებას არავის აპატიებს,

## ანუ „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი“ საუკუნეთა სიგრძეზე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, თითქოსდა ტაბუდადებულ თემაზე, ყველას თავისი აზრი აქვს (მხედველობაში პოლიტოლოგები მყავანან). ბევრი ამ ურთიერთობას მხოლოდ გენოციდის, გაუტანლობის, მტრის ხატის შექმნითა და აპოკალიფსამდე დაყვანილ საშინელებად აღიქვამს. ყველას, ვისაც კი სულ მცირედით მაინც მოუბრუნდება ენა ჩვენი ერთმორწმუნე მეზობლის სასიკეთოდ, ანათემას გადასცემენ და ერის მოღალატედ თვლიან. ბევრი პოლიტოლოგი ნეიტრალურ პოზიციას ამჯობინებს, ქართველები რომ ვიტყვით — არც მწვადის დაწვა სურს და არც შამფურისა. ისინი დასავლეთის (და რატომღაც ამ დასავლეთში ათიათასეული კილომეტრებით დაცილებულ ამერიკას აძლევენ უპირატესობას) საამებლად რუსეთს აკრიტიკებენ. ხშირად კი დადებითსაც ხედავენ რუსეთთან ურთიერთობაში. არიან რადიკალური პრორუსებიც, რომლებიც მისტირიან წარსულ დროს და რატომღაც რუსეთთან ურთიერთობისა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების ერთადერთ გასახსენებლად მხოლოდ თვითმფრინავის 37-მანეთიანი ბილეთები და რუსეთელი ლამაზმანები ახსენდებათ. სულ თითზე დასათვლელნი შემორჩა ისეთი ადამიანი (აქაც მხედველობაში მყავს პოლიტოლოგი), რომელსაც ძირფესვიანად შეუძლია ახსნას ყოველგვარი საფრთხე, რაც გაფეტიშებული დასავლეთიდან მოდის და ასევე თვალი არ დახუჭოს ერთმორწმუნე მეზობლის დაუოკებელ ამბიციებზე, რომელიც ჩვენს მიმართ გააჩნია; სასიკეთო დაინახოს როგორც დასავლეთთან ურთიერთობაში, ასევე რუსეთთან დამოკიდებულებაშიც. ამ მცირეოდენ ადამიანთა რიცხვში მხოლოდ ისტორიკოსები შეგვიძლია შევარჩიოთ, რომლებიც ამ ორი ქვეყნის, საქართველოსა და რუსეთის, ურთიერთობას პირუთვნელად, ისტორიული ანალების ძირფესვიანი შესწავლითა და იმ დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე აღწერს და წარმოგვიდგენს, რომელსაც სულ ცოტა ათსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს. სწორედ ის ისტორიკოსები, რომლებიც ყოველგვარ პარტიულობას, ამბიციურობასა და სხვათა მაამებლობას გვერდით გადადებენ და მისხალ-მისხალ გვამცნობენ იმ ჭეშმარიტებას, თუ როგორი დამოკიდებულება გვქონდა (კვლავ ვიმეორებ, თითქმის ათსაუკუნოვანი გადმოსახედიდან დღემდე) რუსეთის სახელმწიფოსთან.




ისტორია კი მართლაც მკაცრი მსაჯულია. ძალიან ძნელია, შეაფასო, თუ რა ამოძრავებდა როგორც ერთმორწმუნე რუსეთს (რომლის ამბიციაც უდიდესი იმპერიის შექმნა იყო და მიაღწია კიდეც ამას), ისე უამრავ მტერთან მებრძოლ ჩვენს უმცირეს ერს (რომელსაც ჰქონდა როგორც ზესახელმწიფოებრიობა, ისე გაქრობა-გადაშენების პირზეც კი იყო მისული).

მეტად სასიხარულო ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს ბევრი ისტორიკოსი უთმობს დროს იმ მეტად რთულ და ფაქიზ თემას, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპს იცავს და სხვათა ღალატისა და გაუტანლობის გვერდით პირუთვნელად ჩვენს შეცდომებზეც, ამბიციებსა და გინდაც ღალატზე (უფრო მეტად ერთმანეთს შორის ქიშპობას გადაყოლებული ქვეყნის ბედზე) თვალს არ ხუჭავს.

სარბიელზე საქართველოში სულ ოთხიოდ წელია, გამოჩნდა პუბლიცისტური, ლიტერატურულ-შემეცნებითი შესანიშნავი ალმანახი **„სამი საუნჯე“**, რომლის რედაქტორიც გახლავთ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პატროლოგი, მრავალი თეოლოგიური წიგნის ავტორი ბატონი **გრიგოლ რუხაძე**. ამ ალმანახის რიგით მეთექვსმეტე ნომერი (მკითხველს შევახსენებთ რომ დღევანდელი უსახსრობის პირობებში ჟურნალი მხოლოდ კვარტალში ერთხელ გამოდის) სულ ორიოდე დღის წინ გამოვიდა, ხოლო მანამდე, ორიოდე კვირით ადრე ქართველმა მკითხველმა მიიღო ალმანახის სპეციალური დამატება, „სამი საუნჯის“ 2011-2015 წლების ნომრებში გამოქვეყნებული ქართველ ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთა მიერ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თემაზე დაბეჭდილი მასალების ვრცელი, 630-გვერდიანი კრებული სათაურით **„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი“ (ისტორია და თანამედროვეობა)**.

აღსანიშნავია, რომ ეს მეტად საინტერესო კრებული იწყება **„საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ლოცვით — კანონიკური კავშირის აღდგენის შესახებ“** მასალებით (სრულადაა წარმოდგენილი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქთან არსებული წმიდა სინოდის 1943 წლის 19 ნოემბრის სხდომის განჩინება; რუსეთის პატრიარქ სერგის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს მიმართ; რუსეთის პატრიარქის მიმართვა საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსი ეროვნების მოქალაქეებისადმი; პატრიარქ სერგის რწმუნებულობის სიგელი აღმოსავლეთის პატრიარქისადმი). ყველა ეს წერილი განმსჭვალულია ქართველი ხალხისა და ქართველი მორწმუნეების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. პატრიარქი სერგი აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და აღნიშნავს — **„სინოდური განჩინება, რომელიც თან ერთვის ჩვენს წერილს, ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი აღარ წარმოადგენს დავის საგანს“**.

ეს იყო ოფიციალური აღიარება ქართული მართლმადიდებელი ეკლესის, სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის, დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის ეკლესიისაგან.

რაც შეეხება საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს შუა და შემდგომ საუკუნეებში, მეტად საინტერესოდ არის აღწერილ-გაანალიზებული (ისტორიულ ფაქტებზე, თანამედროვეთა მიმოწერებზე და ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით) **ვალერიან მაჭარაძის** წერილებში **„თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში“, „რუსეთის ქართული კოლონიების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. XVIII საუკუნე“, „რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო“, „გეორგიევსკის ტრაქტატი“; თეიმურაზ მირიანაშვილის „სიმართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში“ — მისივე „მორალური შეფასება დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციებისა“ და ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდ“; ნოდარ ლომოურის „რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ“**.

რაც შეეხება დღევადელობას „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებისადმი“, მეტად საყურადღებოა **გულბათ რცხილაძის წერილები „რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი უკრაინისგან ყირიმის გამოყოფას?“, „სერბეთისა და საქართველოს ტრაგედია“, „რეალური საფრთხეები და პერსპექტივები საქართველოსთვის“; ვალერიან დოლიძის „მაიდანი და უკრაინული სცენარის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში“; გრიგოლ რუხაძის „გლობალიზაციის ბედნიერი მონები“ და სხვა.**

ერთობ სასურველი იქნება თუ ამ კრებულს, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე ახალგაზრდობა წაიკითხავს, რომლისთვისაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომითაა ცნობილი. უნდა ჩავუღრმავდეთ, გავაანალიზოთ რამ მიგვიყვანა ამ უსაშინლეს ტრაგედიამდე XXI საუკუნეში? იქნებ დავფიქრებულიყავით, რატომ ესწრაფვოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები საუკუნეების სიგრძეზე ამ დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობას და ზოგიერთი ავანტიურისტის ურაპატრიოტიზმის გამო დავკარგეთ უზარმაზარი ქართული მიწები და ყველაზე გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვით, რასაც ჩვენი ახალგაზრდა თაობის დაღუპვა მოჰყვა. ვიღაცის წაქეზებასა და ამბიციებს ზვარაკად შევწირეთ ჩვენი ვაჟკაცების სიცოცხლე.

* * *

**წიგნი-კრებული** საქველმოქმედო ორგანიზაცია „სინერგიის“ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.

ამ წიგნის გამოსვლა დიდი ნიშანსვეტია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე.

**მამუკა ვაშაკიძე**

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ ავიადარტყმების ნება დართო**

**WSJ-ის ცნობებით, პენტაგონი აპირებს, განახორციელოს „შეტევითი საჰაერო ოპერაცია“, რათა მხარი დაუჭიროს ჩამოყალიბებულ ოპოზიციას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, თავდაცვითი ოპერაციის“ განხორციელების დროს ოპოზიციის დაცვისათვის ამერიკელ სამხედროებს ნება მიეცათ, გამოიყენონ ავიაცია ბოევიკების წინააღმდეგ, და სირიის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგაც.**

* * *

**პოროშენკოს მიაჩნია, რომ პუტინს შეუძლია, „წავიდეს კიდევ უფრო შორს“: დაესხას ფინეთსა და ბალტიისპირეთს**



**„შესაძლებელია თუ არა, რომ ვლადიმერ პუტინი დაესხას თავს ფინეთს? დიახ. რომ მან შეუტიოს ბალტიისპირეთის ქვეყნებს? დიახ. შავი ზღვის ქვეყნებს? დიახ. ჩვენ ვიბრძვით უკრაინის აღმოსავლეთში არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, არამედ დემოკრატიისათვის, თავისუფლებისათვის, ევროპის უშიშროებისათვის“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.**

* * *

**ნიგერიაში არმიამ 170-ზე მეტი მძევალი გაათავისუფლა**



**ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში ოპერაციის დროს ნიგერიის არმიის სამხედრო მოსამსახურეებმა ხელში ჩაიგდეს 178 კაცი, რომლებიც ისლამისტებს მძევლებად ჰყავდათ, მათ შორის 101 ბავშვი და 67 ქალი. ამას გარდა, შეიარაღებულმა ძალებმა დაიჭირეს დაჯგუფების ერთ-ერთი მეთაური, რომელსაც ტერორში ჰყავდა ნიგერიის ჩრდილოეთი ნაწილი.**

* * *

**ნასამ გამოაქვეყნა საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ფოტო უზარმაზარი მთვარის ფონზე**



**უნიკალური „ცისფერი მთვარე“, რომელიც შეიძლება დაინახო ერთხელ რამდენიმე წლის განმავლობაში და არა ყველა სიგანედზე, გადაიღეს ფოტოზე ვაშინგტონში კაპიტოლიუმის თაღით, შემდეგ — საერთაშორისო კოსმოსური სადგურიდან, რომელიც ერთი ციცქნა გეჩვენება მთვარის დისკის ფონზე.**

* * *

**ჩიკაგოს გარეუბანში მუსიკალური ფესტივალის სტუმრებს თავზე კარავი ჩამოექცათ, არის მსხვერპლი**

**დაზარალდა 15-დან 20 კაცამდე, სამი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია. თვითმხილველთა სიტყვებით, კარავი ჯერ ჰაერში ავარდა, შემდეგ კი დაეცა ხალხის ჯგუფს. ინციდენტის ადგილზე სწრაფად მივიდნენ ექიმები და მაშველები. მათ მოუწიათ ტენტის გადაჭრა, რომ იქიდან ხალხი გაეთავისუფლებინათ.**



# მოწვევა ტენდერზე

**საქართველო**

## ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი

**კრედიტი #5456-GE**

**კონტრაქტის დასახელება:**

**ლოტი 1** – ქარელის მუნიციპალიტეტში ზედა რუს საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები # IDIC/CW/ICB/01-L1

**ლოტი 2** - საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხისა და სათავე ნაგებობის ელექტრო და მექანიკური ნაწილების რეაბილიტაცია - # IDIC/CW/ICB/01-L2

**ლოტი 3** - ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხაიშის და მარაბდას მასივების მილსადენის რეაბილიტაცია, ალგეთის წყალსაცავის კაშხლის ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემის რეაბლიტაცია # IDIC/CW/ICB/01-L3

1. საქართველომ მსოფლიო ბანკიდან მიიღო დაფინანსება „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" განხორციელების, მიზნით, იგეგმება თანხების ნაწილი გამოყენებული იქნეს ლოტი 1 - ქარელის მუნიციპალიტეტში ზედა რუს საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების, # IDIC/CW/ICB/01-L1, ლოტი 2 - საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხისა და სათავე ნაგებობის ელექტრო და მექანიკური ნაწილების რეაბილიტაციის - # IDIC/CW/ICB/01-L2, ლოტი 3 – ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხაიშის და მარაბდას მასივების მილსადენის რეაბილიტაცია, ალგეთის წყალსაცავის კაშხლის ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემის რეაბლიტაციის # IDIC/CW/ICB/01-L3 კონტრაქტების დასაფინანსებლად.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს ტენდერში მონაწილეებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები დალუქულ კონვერტებში.

**ლოტი 1** - ქარელის მუნიციპალიტეტში ზედა რუს საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მშენებლობის ხანგრძლივობა არის 16 თვე. ობიექტი მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონის გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში, თბილისიდან დაახლოებით 110 კმ-ში. ზედა რუს მაგისტრალური არხის სიგრძე არის 27.1 კმ, წყალაღება ხდება სათავე ნაგებობიდან, რომელიც 2009 წელს არის აგებული, დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ქვემო ნიქოზთან ახლოს.

სამუშაოები მოიცავს:

- ზედა რუს მაგისტრალური არხის მოპირკეთება რკინაბეტონით 15.4 კმ-ზე და მიწის სამუშაოები 11.7 კმ-ზე
- 55 არსებული გამშვების რეაბილიტაცია და 32 ახალი გამშვების აშენება
- 15 არსებული მილხიდის რეაბილიტაცია და 4 ახალი მილხიდის აშენება
- არსებული 21 ხიდის შეკეთება, 2 ხიდის კაპიტალური რემონტი და 2 ახალი ხიდის აშენება
- 3 წყალსაგდების მოწყობა
- ტიპიური ნაგებობების მოწყობა გამანაწილებელ არხებზე
- მიწის სამუშაოები – 69199 კბმ

ლითონის მილის დამონტაჟება - 1416 მეტრი

**ლოტი 2:** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხისა და სათავე ნაგებობის ელექტრო და მექანიკური ნაწილების რეაბილიტაცია. მშენებლობის ხანგრძლივობაა 18 თვე. ობიექტი მდებარეობს კახეთის რეგიონში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, თბილისიდან დაახლოებით 70 კმ-ში. მარჯვენა მაგისტრალური არხის სათავე ნაგებობა მდებარეობს მდინარე იორზე, მარჯვენა მაგისტრალური არხის სიგრძეა 24.6 კმ.

სამუშაოები მოიცავს:

- გამრეცხი ფარის და ამწე მექანიზმის მოწყობა სათავე ნაგებობაზე
- სათავე ნაგეობაზე ელექტროტექნიკური ნაწილის რეაბილიტაცია
- მაგისტრალური არხის ღია მონაკვეთის 29.5 კმ და დახურული მონაკვეთის (დიუკერები და გალერეები) 1.66 კმზე რეაბილიტაცია
- 31 გამშვების რეაბილიტაცია
- 19 ხიდის რეაბილიტაცია
- მიწის სამუშაოები – 636545 კბმ
- ლითონის მილები – 772 მეტრი

მაგისტრალურ არხზე ტორკრეტცემენტის მოწყობა - 137471 კვმ.

**ლოტი 3:** ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხაიშის და მარაბდას მასივების მილსადენის რეაბილიტაცია, ალგეთის წყალსაცავის კაშხლის ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემის რეაბლიტაცია. მშენებლობის ხანგრძლივობაა 22 თვე. ობიექტი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონის თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში, თბილისიდან დაახლოებით 60 კმ-ში.

სამუშაოები მოიცავს:

- ჰიდროტექნიკური ნაგებობების ინსტრუმენტალურ-სამონიტორინგო სისტემის მოწყობა (რეზერვუარი, კაშხალი, მაგისტრალური არხი)
- მაგისტრალური არხის ღია სექციების რეაბილიტაცია 7.97 კმ ; რკინა-ბეტონის ღარების რეაბილიტაცია 1.9 კმ., დახურული სექციების (გალერეების) რეაბილიტაცია 407 მ.
- 4 დიუკერის რეაბილიტაცია
- მიწის სამუშაოები - 244608 კბმ
- მონოლითური ბეტონი, რკინა ბეტონი, რკინა ბეტონის ფილები - 1600 კბმ
- ლითონის მილები - 18099 მ

პოლიეთილენის მილები - 3180 მ

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა მოიცავდეს მაგრამ არ არის შეზღუდული:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ბრუნვა (დასრულებული კონტრაქტები ან მიმდინარე კონტრაქტის დასრულებული სამუშაოები) უნდა შეადგენდეს:

ლოტი 1 – 4 500 000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი
ლოტი 2 – 6 500 000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი
ლოტი 3 – 7 700 000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი

ბ) ტენდერში მონაწილე უნდა ფლობდეს ფინანსურ რესურსებს როგორიცაა ლიკვიდური ასეტები, საკრედიტო ხაზი ან სხვა რაიმე ფინანსური რესურსი რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგი ნაღდი ფულის შესაძლებლობების მოთხოვნებს:

ლოტი 1 – 550 000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი
ლოტი 2 – 800 000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი
ლოტი 3 – 950 000 აშშ დოლარი ან ექვივალენტი

გ) დასრულებული მსგავსი სამუშაოები (როგორც ძირითადი კონტრაქტორი) შემდეგი ოდენობით

ლოტი 1 – (ა) ერთი (1) კონტრაქტი მინიმუმ **2,400,000 აშშ** დოლარის ღირებულების ან (ბ) 2 (ორი) კონტრაქტი თითო მინიმუმ **1,200,000** აშშ დოლარის ან ექვივალენტი ღირებულების

ლოტი 2 – (ა) ერთი (1) კონტრაქტი მინიმუმ **3,900,000** აშშ დოლარის ღირებულების ან (ბ) 2 (ორი) კონტრაქტი თითო მინიმუმ 1,950,000 აშშ დოლარის ან ექვივალენტი ღირებულების

ლოტი 3 – (ა) ერთი (1) კონტრაქტი მინიმუმ **5,600,000** აშშ დოლარის ღირებულების ან (ბ) 2 (ორი) კონტრაქტი თითო მინიმუმ **2,800,000** აშშ დოლარის ან ექვივალენტი ღირებულების

3. ტენდერში მონაწილეს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ან ერთ ლოტში ან რამოდენიმე ლოტში. ტენდერში მონაწილეს შეუძლია ფასდაკლების შემოთავაზება, თუ ის ერთზე მეტ ლოტში მონაწილეობს, იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული ფასდაკლება დაფიქსირებულია წინადადებაში.

4. ტენდერი ტარდება მსოფლიო ბანკის „საქონლის, სამუშაოების და არა-საკონსულტაციო მომსახურების IBRD და IDA & მსოფლიო ბანკის მსესხებელთათვის შესყიდვის 2011 წლის იანვრის და 2014 წლის ივლისის განახლებული ინსტრუქციების მიხედვით.

5. დაინტერესებულ ტენდერში მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, 10:00 დან 17:00-მდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

6. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ 500 ლარის ან 750 ლარი (საკურიერო მომსახურების ჩათვლით (არადაბრუნებადი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და წერილი სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის თაობაზე ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

თანხა უნდა გადაირიცხოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

For GEL transfer:
State Treasury Service of Georgia
SWIFT CODE: TRESGE22
Beneficiary: *Ministry of Agriculture of Georgia*
Treasury Code: 3012004400
Sub-Code: 4411

7. სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს 2015 წლის 15 სექტემბრის, 12:00-მდე ადგილობრივი დროით. ელექტრონული სატენდერო წინადადება არ არის დაშვებული. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება მონაწილეების/უფლებამოსილი წარმომადგენლების და დასწრების სხვა ნებისმიერი მსურველის თანდასწრებით, 2015 წლის 15 სექტემბერს, ადგილობრივი დროით 12:00 ზე.

8. ყველა სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია ლოტი 1 - 60,000 აშშ დოლარი (ან ექვივალენტი), ლოტი 2 – 100,000 აშშ დოლარი (ან ექვივალენტი), ლოტი 3 – 140,000 აშშ დოლარი ( ან ექვივალენტი).

9. მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი
მარშალ გელოვანის გამზ. 6
მესამე სართული, ოთახი 309
ლალი დურმიშიძე – პროექტის მენეჯერი
ტელ/ფაქსი: 3 376672
ელ/ფოსტა: Lali.durmishidze@moa.gov.ge
Cc: Ioseb.tchonkadze@gmail.com
Web-site: www.moa.gov.ge

**ალიან-ჩალიანი**

## იწყება მავნებლებით დაავადებული და გადამხმარი ხეების მოჭრა

**თბილისსა** და მის შემოგარენში მავნებლებით დაავადებული და გადამხმარი ხეების მოჭრას ტენდერში გამარჯვებული კომპანია – შპს „სინათლის ქალაქი" განახორციელებს.

„სინათლის ქალაქის" დირექტორის, ვასილ ხორავას ინფორმაციით, ერთი ხის მოჭრა 17-დან 22 ლარამდე დაჯდება. სულ მოსაჭრელად, დღეის მდგომარეობით, 5 508 სხვადასხვა სახეობის წიწვოვანი ხეა მონიშნული. თბილისსა და მის შემოგარენში ხეების მოჭრა უკვე დაიწყო.

ხეების მოჭრის პროცესი მთელი აგვისტო გაგრძელდება, საერთო ჯამში კი 5 508 ხე მოიჭრება, რომლებიც ოქტომბერ-ნოემბერში ახალი ნარგავებით შეიცვლება. ჩანაცვლება მოხდება იმ ხეებით, რომლებიც კლიმატის ცვლილებისა და ადგილობრივი გარემოს მიმართ შემგუებელ სახეობებს წარმოადგენენ. მოჭრილი ხეები სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დაურიგდება.

## სიღნაღის წყალმომარაგება გაუმჯობესდება

**რეგიონული** განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით, სიღნაღის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.



სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ჯუანშერ ბურჭულაძესთან და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელ ნიკოლოზ ქიზიყურაშვილთან ერთად დაათვალიერა და მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს გაესაუბრა.

პროექტის განხორციელების შედეგად სიღნაღის მოსახლეობა, კერძოდ, 900-ზე მეტი ოჯახი 24-საათიან წყალმომარაგებას მიიღებს. ამჟამად სიღნაღის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, კერძოდ, 600 ოჯახს წყალი დღე-ღამეში მხოლოდ 2 საათის განმავლობაში მიეწოდება, 300 ოჯახს კი – 24 საათიდან მხოლოდ 8 საათი. პროექტის განხორციელების შედეგად, გარდა 24-საათიანი წყალმომარაგებისა, წყლის ხარისხის გაუმჯობესება იგეგმება. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, ამჟამად დაზიანებული ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ასევე, მოხდება 3 ახალი ჭაბურღილის გამართვა და ორი 50-ტონიანი რეზერვუარის მშენებლობა. პროექტის ღირებულება 1 342 388 ლარია.

თბილისი – 2015

# ათი მედლით — მეათე ადგილზე




**საქართველოს დედაქალაქში დამთავრდა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელსაც სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს. რაც მთავარია, კმაყოფილი არიან მასპინძლებიც — კონტინენტის 50 ქვეყანას შორის 10 მედლით ჩვენებმა საერთო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეათე ადგილი დაიკავეს და 2003 წელს ესპანურ მურსიაში მიღწეული საუკეთესო შედეგი გაიმეორეს.**

ქართველთა ყულაბას 9 მედალი ძიუდოისტებმა შესძინეს, ხოლო ერთი „ბრინჯაო“ ტანმოვარჯიშეთა ანგარიშზეა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მზია ბებოშვილი (52 კგ), ეთერ ლიპარტელიანი (57), რობინზონ ბეგლარიშვილი (60 კგ) და ონისე სანებლიძე (90), მესამე ადგილებს კი დასჯერდნენ ნატალია ყიფშიძე (48), ზურაბ კახნიაშვილი (50), თემურ ნოზაძე (55), ბაგრატ ნინიაშვილი (66), გელა ზაალიშვილი (+90) და დიმიტრი გოვოროვი (სპორტული ტანვარჯიში).

ასპარეზობის ბოლო დღეს ძიუდოისტებმა თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“ დაიმსახურეს: ონისე სანებლიძემ ქვეჯგუფში სერბ სტეფან მიჩიჩსა და პოლონელ ერიკ რიციაკს მოუგო, ნახევარფინალში უკრაინელ ალექსეი ბაბენკოს აჯობა, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში რუს ალიუმეკ ტუმაევს იპონით სძლია.

ფავორიტად მიიჩნევდნენ გელა ზაალიშვილსაც. მან ქვეჯგუფში ესპანელი დავიდ დაპარტე სანდსტრიომი, სლოვენიელი ენეი მარინიჩი და ბელარუსი იაჰორ კუხარენკა ჩამოიშორა გზიდან. ნახევარფინალი მომავალ ჩემპიონთან — ავსტრიელ სტეფან ჰეგისთან დათმო, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი აზერბაიჯანელი რუსტამ კოცოევი დაჯაბნა. რაც შეეხება ფესტივალზე გოგონების სიურპრიზს — 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალს, ქართული ქალთა ძიუდოს განსავითარებლად სერიოზული ბიძგი იქნება.

### კვარცხლბეკი

**ვაჟები**

**81 კგ.**

1. მურად კურბანისმაილოვი (რუსეთი),
2. მიროსლავ კოპისი (სლოვაკეთი),
3. იან რაიხნტენხსი (ჰოლანდია), აპორ ტოტი (უნგრეთი).




**90 კგ.**

**1. ონისე სანებლიძე (საქართველო),**
2. ალიუმეკ ტუმაევი (რუსეთი),
3. ალექსეი ბაბენკო (უკრაინა), სიმეონ კატარინა (ჰოლანდია).

**+90 კგ.**

1. სტეფან ჰეგი (ავსტრია),
2. ვლადისლავ ბერეჟკა (უკრაინა),




**3. გელა ზაალიშვილი (საქართველო),** იაჰორ კუხარენკა (უკრაინა).

**გოგონები**

**63 კგ.**

1. იოვანა ობრადოვიჩი (სერბეთი),
2. ირინა ხრიაჩევსკა (უკრაინა),
3. ლარა კლიბა (ხორვატეთი), სანე ვერმეერი (ჰოლანდია).

**70 კგ.**

1. ალისე ბელანდი (იტალია),
2. იოანა პეკოვიჩი (ჩერნოგორია),
3. პეტრა ოპრესნიკი (სლოვენია), კარლა პროდანი (ხორვატეთი).

**+70 კგ.**

1. ანა-ლიზა კალაგრეტი (იტალია),
2. რაზ ჰერშკო (ისრაელი),
3. მარკეტა პაულუსვა (ჩეხეთი), მერსედეს ჟიგეტვარი (უნგრეთი).

ოლიმპიური ფესტივალის ბოლო ორ დღეს, ძიუდოისტების გარდა, სპორტის რვა სახეობის სპორტსმენებმა იასპარეზეს და მედალოსნებიც გამოვლინდნენ. ყველაზე ცუდად ქართველებმა სათამაშო სახეობებში იასპარეზეს: კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში ჩვენმა გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა ბოლო, მერვე ადგილები დაიკავეს.

### ფრენბურთი

**გოგონები**

1.ჩეხეთი, 2. ბელგია, 3. უნგრეთი.

**ვაჟები**

1.ბოსნია-ჰერცეგოვინა, 2. ესპანეთი, 3. გერმანია.

### ფრენბურთი

**გოგონები**

1. თურქეთი, 2. სერბეთი, 3. იტალია.

**ვაჟები**

1. პოლონეთი, 2. ბულგარეთი, 3. იტალია

### ხელბურთი

**გოგონები**

1. რუსეთი, 2. დანია, 3. ნორვეგია,

**ვაჟები**

1. საფრანგეთი, 2. სლოვენია, 3. გერმანია.

### ჩოგბურთი

**„მზიურის“ კორტებზე ნიკოლოზ დავლიანიძემ მეოთხედფინალში პოლონელ დანიელ მიჩალსკისთან წააგო — 6:3, 6:1. დავით ჭელიძე, ანა შანიძე და ანა მაქაცარია მესამე წრეში დაემშვიდობნენ ტურნირს.** ქართველთა დუეტები მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონებთან დამარცხდნენ: ანა მაქაცარია, ანა შანიძე-კაია ჯოვანი, ნიკა რადიშიჩი (სლოვენია) 4:6, 0:6, დავით ჭელიძე, ნიკოლოზ დავლიანიძე-გაბრიელ ბოსიო, რიკარდო პერინი (იტალია) 5:7, 3:6

**გოგონები**

**ერთეულები**

1. ლუსი კანკოვა (ჩეხეთი),
2. ტაისია პაჩკალევა (რუსეთი),
3. სტეფანია სელმა კადარი (რუმინეთი).

**წყვილები**

1. კაია ჯოვანი, ნიკა რადიშიჩი (სლოვენია),
2. სელმა კადარი, ანდრეა პრისაკარუ (რუმინეთი),
3. ლეონ კუნენგი, სიმონა ვალტერტი (შვეიცარია).

**ვაჟები**

**ერთეულები**

1. ადრიან ანდრეევი (ბულგარეთი),
2. იშაი ოლიელი (ისრაელი),
3. ტიბო კოლსონი (ბელგია).

**წყვილები**

1. გაბრიელ ბოსიო, რიკარდო პერინი (იტალია),
2. როი გინატი, იშაი ოლიელი (ისრაელი),
3. ევზენ ჰოლოში, ტომაშ მაჩაკი (ჩეხეთი).

### სპორტული ტანვარჯიში

როგორც აღვნიშნეთ, დიმიტრი გოვოროვმა ბჯენით ხტომებში მესამე ადგილი დაიკავა.

**გოგონები**

**დვირი**

1. აქსელ კლინკაერტი (ბელგია, 13.950),
2. როუზ მეთოენი (დიდი ბრიტანეთი, 13.650),
3. დარია სკრიპნიკი (რუსეთი, 12.750).

**თავისუფალი ვარჯიში**

1. აქსელ კლინკაერთი (ბელგია, 14.100),
2. დარია სკრიპნიკი (რუსეთი, 13.900),
3. ნინა დერვალი (ბელგია, 13.750).

**ბჯენით ხტომები**

1. მარინ ბოიერი (საფრანგეთი, 14.275),
2. დარია სკრიპნიკი (რუსეთი, 14.100),
3. ელენა ერიომინა (რუსეთი, 14.000).

**ნაირსიმაღლის ორძელი**

1. დარია სკრიპნიკი (რუსეთი, 14.850),
2. ნინა დერვალი (ბელგია, 14.800),
3. ანასტასია ილიამკოვა (რუსეთი, 14.700).

**ვაჟები**

**ბჯენით ხტომები**

1. იაჰორ შარამკოუ (ბელარუსი, 14.400),
2. ლორენცო მორანი (დიდი ბრიტანეთი, 14.400),
3. დიმიტრი გოვოროვი (საქართველო, 14.150).

**ორძელი**

1. კონორ ფრეზერი (დიდი ბრიტანეთი, 14.600),
2. ედუარდ ერმაკოვი (უკრაინა, 14.450),
3. კევინ კარვალიო (ესპანეთი, 14.200).

**ღერძი**

1. მორენო კრატერი (შვეიცარია, 14.050),
2. ლორენცო მორანი (დიდი ბრიტანეთი, 13.850),
3. ლორენცო გალი (იტალია, 13.800).

**ტაიჭი**

1. ალექსანდრ სიჩუგოვი (რუსეთი, 14.700),




2. კონორ ფრეზერი (დიდი ბრიტანეთი, 14.200),
3. ლორენცო გალი (იტალია, 14.000),

**რგოლები**

1. მაქსიმ სინიჩკინი (რუსეთი, 14.150),
2. ნიკ კლესინი (გერმანია, 14.100),
3. კონორ ფრეზერი (დიდი ბრიტანეთი, 14.050).

### მძლეოსნობა

ფესტივალის ბოლოსწინა დღეს ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში ბადრი ქიმაძე მესამე ცდის შემდეგ 17,45 მეტრით მეორე ადგილზე იყო, მაგრამ ჯერ ბელარუსმა ჩარნიშოუმ აჯობა 15 სანტიმეტრით, მეოთხე ცდაზე კი ფინელმა კორკეასალომ იყოჩაღა — 18,98 მეტრი. ქართველი სპორტსმენი საბოლოოდ მე-4 ადგილს დასჯერდა.

### კვარცხლბეკი

**100 მ თარჯებით**

1. ქრისტინა კლეშჩევა (რუსეთი, 13,75),
2. პაულა სპრუდზანე (ლატვია, 13,75),
3. ნიკა გლოინარიჩი (სლოვენია, 13,84),
3. მირიამ სინინგი (გერმანია, 13,84).

**200 მ**

1. მარინ მინიონი (საფრანგეთი, 24,07),
2. გინა აკრე-მოსესი (ისრაელი, 24,49),
2. ანა კერბაჩოვა (ჩეხეთი, 24,49).

**400 მ**

1. ანდრეა მიკლოში (რუმინეთი, 53,68),
2. იასმინ გიგერი (შვეიცარია, 55,02),
3. კატერინა სეკულიჩი (სერბეთი, 55,09).

**4X100 მ**

1. ნორვეგია (46,54),
2. საფრანგეთი (46,67),
3. ბელგია (46,78).

**ბადრო**

1. ალექსანდრა ემილიანოვა (მოლდოვა, 51,93),
2. ჰელენა ლეველაჰტი (ფინეთი, 48,06),
3. დარა ობოტი (ჰოლანდია, 46,30).

**შუბი**

1. კაროლინა ვისკა (იტალია, 60,09),
2. ჯონა აიგუ (საფრანგეთი, 54,70),
3. დუარტე მორაისი (ნორვეგია, 52,64).

**ჭოკით ხტომა**

1. ელიზავეტა ბონდარენკო (რუსეთი, 4,20),
2. ლიზა ულრიკა გუნარსონი (შვედეთი, 4,15),
3. ამალი სვაბიკოვა (ჩეხეთი, 3.90).

**ვაჟები**

**110 მ თარჯებით**

1. ჟულიან ანდრიანავალონა (საფრანგეთი, 13,84),
2. ლუის სალორტი (ესპანეთი, 13,85),
3. კრისტიან ფაიდიგა (იტალია, 14,11).

**400 მ**

1. იჰარ ზუბკო (ბელარუსი, 47,44),
2. მაჰსუმ კორკმაზი (თურქეთი, 48,51),
3. გრეგორ გრანოვასი (სლოვენია, 48,56).

**200 მ**

1. ფლორიან ბარბიერი (საფრანგეთი, 21,52),
2. მატეი კრსეკი (ჩეხეთი, 21,90),
3. ბრაიან პრონკი (ჰოლანდია, 21,93).

**800 მ**

1. მარინო ბლოუდეკჯი (ხორვატეთი, 1.53,76),
2. ელიოტ გრესტანი (ბელგია, 1.54,02),
3. ხავიერ კარო მირონი (ესპანეთი, 1.54,92).

**4X100 მ**

1. საფრანგეთი (42,11),
2. ესპანეთი (42,46),
3. სლოვაკეთი (44,29).

**ჭოკით ხტომა**

1. კანდა ლიტა (გერმანია, 4,92),
2. ტარას შევცოვი (უკრაინა, 4,60),
3. რიკარდო კლოცი (ავსტრია, 4,60).
10. საბა სოსელია (საქართველო, 4.10).

**უროს ტყორცნა**

1. მიხაილო ჰავრილიუკი (უკრაინა, 75,20),
2. ანდრეი მიკუ (რუმინეთი, 70,18),
3. ძმიტრი ბარაუკუ (ბელარუსი, 68,05),
9. ლაშა-გიორგი გურგენიძე (საქართველო, 56,99).

**ბირთვი**

1. არტუ კორბეასალო (ფინეთი, 18,98),
2. არიელ ატაისი (ისრაელი, 17,67),
3. ვაძიმ ჩარნიშოუ (ბელარუსი, 17,60),
4. ბადრი ქიმაძე (საქართველო, 17,45).

**სამხტომი**

1. ენცო ჰოდებარი (საფრანგეთი, 15,24),
2. კრისტიან გრეკუ (რუმინეთი, 15,03),
3. ანდრეა დალავალე (იტალია, 14,74).

**შუბი**

1. ილია ტუზოვი (რუსეთი, 69,67),
2. მატის ბელპსი (ლატვია, 66,21),
3. ბარტულ ზემუნიკი (ხორვატეთი, 65,32),
11. გიორგი კეთილაძე (საქართველო, 53,23).

**საბოლოოდ ფესტივალის მონაწილე 50-დან 36-მა ქვეყანამ მოიპოვა მედლები, მათ შორის „ოქრო“ 24 სახელმწიფოს წარმომადგენლებს ერგოთ.**

**ევროპის ახალგაზრდობის მომდევნო, მე-14 ოლიმპიური ფესტივალი შეცვლილი სახელწოდებით, და შესაძლოა, ფორმატითაც, 2017 წელს უნგრეთის ქალაქ დიორში გაიმართება.**

**ლექსო ცინცაძე**

## პროფესიონალთა თვალით



***კახი კახიაშვილი**, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:*

**ალბათ, თაობები და მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს, რომ სათანადოდ შევაფასოთ, თუ როგორი მაღალი რანგის სპორტულ ფორუმს ვუმასპინძლეთ ღირსეულად. სხვების ნაცვლად ვერაფერს მოგახსენებთ, პირადად ჩემს უმდიდრეს კოლექციას კი სწორედ აღნიშნული ფესტივალის მედალი აკლია, რასაც დღემდე განვიცდი. და ბოლოს, როგორც ცხინვალელს, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ოლიმპიური სოფლის კორპუსებში მალე დევნილები შესახლდებიან.**

***ლევან კობიაშვილი**, ეროვნული საფეხბურთო ნაკრების რეკორდსმენი (100 მატჩი), „ახალი თბილისის“ მერი:*



**თუ გადავხედავთ წინა ფესტივალების ნუსხას, დავრწმუნდებით, რომ ჯერჯერობით მის ორგანიზატორთა შორის ისეთ ყოველმხრივ განვითარებულ სახელმწიფოს ვერ ვხვდებით, როგორიცაა გერმანია, ჩვენ კი ასეთი პატივი უკვე გვერგო. როგორც ფეხბურთელი, განსაკუთრებით გაწბილებული ვარ საქართველოს სათამაშო სახეობების ნაკრებების ბოლო ადგილებით, რაც საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.**

◉ გამოცდილება, რომელიც გვჭირდება

# ფეოდალური წყობიდან – XXI საუკუნეში





**ეკონომიკური სასწაულის სარკე – ასე შეიძლება იაპონიის ჯანდაცვის სისტემის მოკლედ დახასიათება**

**მეორე მსოფლიო ომამდე იაპონია შედარებით ღარიბი, ფაქტობრივად, ფეოდალურ წყობიანი სახელმწიფო იყო. ჯანდაცვაც ასეთივე ჰქონდათ — ათასობით ადამიანი ინფექციური დაავადებებისგან, ძირითადად ტუბერკულოზისგან იხოცებოდა.**

ვითარების ძირფესვიანად შეცვლა კი იმას უკავშირდება, რასაც შემდგომ „იაპონური ეკონომიკური სასწაული“ უწოდეს. 60-იან წლებში **ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისას ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, პროფილაქტიკურ მედიცინაზე გაკეთდა. ხელისუფლებამ ამოცანა დასახა: სამედიცინო მომსახურება ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქეს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე მინიმალურ ფასად უნდა მიეღო.**

70-იან წლებში ხელი მიჰყვეს ექიმთა რიცხოვნობის ზრდას, ასევე სამედიცინო განათლების სისტემის სრულყოფას.

80-იან წლებში ტარდებოდა რეფორმები, რომლებიც სოციალური მომსახურების სფეროში, მათ შორის ჯანდაცვაში, სახელმწიფოს როლის მატებაზე იყო მიმართული. ამან სადაზღვევო მედიცინის შესაძლებლობები განუზომლად გაზარდა, დღესდღეობით კი საზოგადოებრივი სამედიცინო დაზღვევით ქვეყნის მთელი მოსახლეობაა მოცული.

სამედიცინო დაზღვევას იაპონელები მუნიციპალიტეტებში ანდა სამსახურში იღებენ. მუნიციპალური დაზღვევა მკურნალობის საფასურს სრულად არ ფარავს, სამაგიეროდ სამკურნალო საშუალებების ნაწილობრივ დაფინანსებას მოიცავს. თანხის დარჩენილი ნაწილის დამატება პაციენტს თავისი ხარჯით უწევს.

იაპონიაში ორი ტიპის აფთიაქია — სადაც რეცეპტი საჭირო არ არის, ასეთები კი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა და ისეთები, სადაც ექიმის გამოწერილი პრეპარატის ყიდვაა შესაძლებელი.

**იაპონიის ბიუჯეტის ყველაზე ხარჯიანი ნაწილია ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვა, რომლის წილად 30 პროცენტი(!!) მოდის. ეს ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარებითაა განპირობებული: სიცოცხლის ხანგრძლივობით იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს — მამაკაცებისთვის ეს ასაკი 80 წელია, ქალებში — 87 წელი. ხანდაზმულთა რიცხოვნობა წლიდან წლამდე იზრდება, ამიტომაც მათთვის ფული არ ენანებათ. პენსიაზე იაპონელები 65 წლის ასაკში გადიან, თანაც მისი მინიმალური ოდენობაც კი კაცს გასაჭირში არ ამყოფებს.** ამის გარდა არსებობს სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გაწევის მრავალი სხვა ვარიანტი. მაგალითად, ახალი წლის დადგომამდე ყველა ხანდაზმულს მუნიციპალიტეტებში იწვევენ, მატერიალურ დახმარებას უწევენ, აძლევენ საგზურებს თერმული წყლების კურორტებზე, ქვეყნის ფარგლებშიც და საზღვარგარეთაც კი მოგზაურობას სთავაზობენ. პენსიონერებისთვის რკინიგზით მგზავრობა, მუზეუმების ბილეთები და ა. შ. უფასოა.

ტოკიოში სამედიცინო პროფილის სამი უმაღლესი სასწავლებელია. ყველაზე გასაოცარი კი ისაა, რომ **ლათინური ენის სწავლა მომავალი ექიმებისთვის სავალდებულო არ არის — ყველა რეცეპტი იაპონურად იწერება!** ეს გასაკვირი არცაა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ, პრაქტიკულად, ყველა წამალს ადგილობრივი მეწარმეები უშვებენ, ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე უცხოური კომპანიაა წარმოდგენილი. ამასთან, ადგილობრივი წამლები უცხოურ ანალოგებზე 10 პროცენტით იაფი ღირს.

ფარმაცევტიკის სწრაფ განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა სახელმწიფოს მხარდაჭერამ, ასევე მრეწველობის სხვა დარგების, კერძოდ, ქიმიურის, კვებისა და საფეიქროს მედიკამენტების წარმოებაზე ნაწილობრივ გადაორიენტირებამ. ფარმაინდუსტრიის ცენტრია ოსაკა, საიდანაც ბოლო წლებში საერთაშორისო ბაზრების დაპყრობა დაიწყო.

ამასთან ერთად, მეტად საგულისხმოა, რომ ქიმიური პრეპარატებით და, გარკვეულწილად, აღმოსავლური მედიცინის მეთოდებით მკურნალობას, იაპონელები ცხელი მიწისქვეშა წყაროებით სნეულებათა მორჩენას ამჯობინებენ. ჩვენში დიდად ფასობს ექიმისა და პაციენტის პირადი ურთიერთობა, იაპონიაში ასე არ არის: აქ ყველაფერი კომპიუტერების მეშვეობით ხდება, ექიმები (ცხადია, სასწრაფო დახმარების მუშაკებისა და ქირურგების გარდა), პაციენტს, ფაქტობრივად, არ ხედავენ.

**კარგია ეს თუ ცუდი, თავად განსაჯეთ, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ, ვფიქრობ, დაგვეთანხმებით, რომ ამ (ისევე, როგორც ბევრ სხვა) შემთხვევაში მთავარია შედეგი.**

მოამზადა
**დალი ხუნდაძე**

◉ ზეცად ამაღლებული

## 40 დღე ეთერ კაკულიას გარდაცვალებიდან



უდიდეს მადლობას ვწირავთ თითოეულ ქართულ ოჯახს, რესპუბლიკის მთავრობას და ხელისუფლებას, ქ. თბილისის მერიას, საქართველოს კულტურისა და ჯანდაცვის სამინისტროებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მეგობრებს, ნათესავებს, ყველა იმ პიროვნებას, რომლებმაც უდიდესი მხარდაჭერა და გულისტკივილი გამოხატეს ეთერ კაკულიას ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს საპატრიარქოს და მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

გფარავდეთ ღმერთი!

**ეთერ კაკულიას ოჯახი**

**შვილები ნაზი, რუსუდან საღარეიშვილები, შვილიშვილები ლევან მეხუზლა, ნინო, თაკო ავალიანები, შვილთაშვილები, და ნუნუ მამულაშვილი, სიძეები რევაზ მახარობლიძე, ბესო ავალიანი, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან**

**თამარ საბას ასულ მამულაშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 VIII, 17 სთ. მისამართი: გრიბოედოვის ქ. №20. გამოსვენება 6 VIII, 15 სთ. ვაკის ეკლესიიდან.**

◉ კრიმინალი

## ინსპექტორ-გამომძიებელი თაღლითობის ფაქტზე დააკავეს

**აჭარის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის და საქართველოს შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქისთვის თაღლითურად თანხის გამოძალვის ფაქტზე შსს აჭარის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ემზარ პაპიძე დააკავეს.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ 2015 წლის ივლისის თვეში ემზარ პაპიძე სხვა საგამოძიებო დანაყოფის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ შორენა მამულაშვილს დაჰპირდა, რომ აუყვანდა ადვოკატს, რომელიც საქმეს მოაგვარებდა და მას არასაპატიმრო სასჯელი დაენიშნებოდა, რისთვისაც მოტყუებით 200 ლარი გამოართვა. 2015 წლის 22 ივლისს შორენა მამულაშვილის მიმართ სახელმწიფოს ხარჯზე, სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის მონაწილეობით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც მას არასაპატიმრო სასჯელი დაენიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ემზარ პაპიძეს დაპირებული არც ერთი მოქმედება არ შეუსრულებია, იგი კვლავ დაუკავშირდა შორენა მამულაშვილს და მოატყუა, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოტანა მისი დამსახურება იყო და საქმე პროკურორთან და მოსამართლესთან მან მოაგვარა და სისხლის სამართლის საქმის თითქოსდა საბოლოოდ დასასრულებლად შორენა მამულაშვილს დამატებით 100 ლარი გამოართვა. ემზარ პაპიძე შორენა მამულაშვილისგან მოტყუებით ჯამში 300 ლარის ოდენობის თანხას დაეუფლა.**

## თაღლითობა ჯართის ბიზნესში

**ჯართის ბიზნესში მოქმედი საწარმოების დანაშაულებრივი სქემა გამოვლინდა. სახელმწიფოს მოტყუებით, დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანებისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე დაკავებულია აღნიშნული დანაშაულის ორგანიზატორი ირინე ხინკილაძე.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ შპს IBERIASREEL-ის დირექტორი და დამფუძნებელი ირინე ხინკილაძე სხვადასხვა პირების სახელზე არეგისტრირებდა ფიქტიურ ორგანიზაციებს და ამ ორგანიზაციების სახელით ახდენდა თავის საწარმოზე ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოწერას, თითქოს ამ საწარმოებისგან შეიძინა შავი ლითონი. აღნიშნული სქემით შპს IBERIASREEL-მა მიიღო დღგ-ს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ყალბი ჩათვლები, ხოლო ფიქტიურად შექმნილი საწარმოს დირექტორები ხინკილაძესთან წინასწარი შეთანხმებით განზრახ არ იხდიდნენ დღგ-ს დავალიანებას. ამ ეტაპზე გამოვლენილია სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი — 550 446 ლარის ოდენობით.**

**ი. ხინკილაძესთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების გამოვლენის მიზნით საქმეზე გრძელდება გამოძიება.**

◉ შემთხვევა

## ქობულეთში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო

**ქობულეთში ზღვაში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო. როგორც ქობულეთში მცხოვრებლები იტყობინებიან, სანაპიროზე მყოფმა ქალბატონმა მაშველებს მიმართა, რომ მამაკაცი ზღვამ გაიტაცა. ადგილობრივების თქმით, მაშველებმა მამაკაცი ზღვიდან გამოიყვანეს, თუმცა გარდაცვლილი იყო. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ 22 წლამდე მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.**

**ამასთან, აჭარის სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, ზღვაზე 2-3-ბალიანი შტორმი ფიქსირდება, სანაპიროზე აღმართულია წითელი ალმები, რაც ნიშნავს, რომ ზღვაში შესვლა აკრძალულია.**

**სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, გუშინ მაშველებმა ქობულეთისა და შეკვეთილის სანაპიროებიდან 80 ადამიანი გამოიყვანეს ზღვიდან, გუშინ კი ბათუმისა და ქობულეთის სანაპიროებიდან — 12 ადამიანი.**

## უშბაზე ბელორუსი ტურისტი დაიღუპა



**არსებული ინფორმაციით, იგი მთაზე ასვლისას, 4 300 მეტრის სიმაღლეზე თოკიდან მოწყდა. კიდევ ერთი ტურისტი დახმარებას საჭიროებს.**

**მის დასახმარებლად, ასევე ცხედრის გამოსაყვანად ვერტმფრენით მაშველები გაემგზავნენ.**

## ავტოავარია თბილისში

**ავტოავარია თბილისში მსხვერპლით დასრულდა. თემქაზე ერთმანეთს სამი ავტომობილი შეეჯახა. ავარიის შედეგად დაიღუპა ორი ადამიანი, ოთხი კი — დაშავდა.**

**ამასთან, არსებული ინფორმაციით, დაშავებულთა შორის არის ორსული ქალიც. დაშავებულები საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.**

## ჩვენ „ვხალისობთ“, ცუკერბერგი მდიდრდება...

**ყველაფერი თანაკურსელებთან ერთად ჰარვარდში შექმნილი სოციალური ქსელით დაიწყო. ვიწრო კომუნიკაციამ ფართო მასშტაბები შეიძინა და მარკ ცუკერბერგის მიერ დაფუძნებული „ფეისბუქი“ ახლა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მეგობრებთან ურთიერთობის, საქმიანი მიმოწერის, პირადი ცხოვრების გამომზეურების პარალელურად, აღნიშნული სოციალური ქსელიდან ბევრ საინტერესო ინფორმაციასაც ვიგებთ, ვსწავლობთ, ვხალისობთ, ვერთობით, სარგებელს ვნახულობთ.**

დღეს გთავაზობთ 5 ქართულ ტოპ „ფეისბუქგვერდს“, საიდანაც სოციალური ქსელის მომხმარებლები საინტერესო ამბებს იგებენ, სასარგებლო რჩევებს ღებულობენ ან მეტად ხალისობენ.

ქართულ „ფეისბუქგვერდებს“ შორის, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია თბილისის ზოოპარკის პროფილი. სტიქიამდე იმასაც ამბობდნენ, რომ გვერდის ადმინისტრატორის აქტივობამ და ბინადრების შესახებ საოცარმა თხრობის მანერამ, ზოოპარკს დამთვალიერებელი შემატა. მკითხველები ცხოველების ყოფისა და მათი თავისებურებების შესახებ ინფორმაციას განსაკუთრებული სითბოთი და იუმორით მიწოდებული ტექსტებით იგებდნენ. ალბათ, ყველაზე დასამახსოვრებელი სპილო გრანდის ოპერაცია იყო, რომელიც „ფეისბუქ“ მომხმარებლებთან ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. გვერდის ადმინისტრატორი მკითხველებს ფოტოების დართვით, დეტალურად აწვდიდა ინფორმაციას ოპერაციის მიმდინარეობისა და გრანდის სარეაბილიტაციო მდგომარეობის შესახებ.

საინტერესო, სასარგებლო და მეტად „გემრიელია“ „ნიკორას“ „ფეისბუქის“ გვერდი. აქ წაიკითხავთ ცნობილი ადამიანების ვარსკვლავურ რეცეპტებს, ამა თუ იმ ცნობილი საკვების შექმნის ისტორიებს, მზამზარეულ რჩევებს. გვერდი ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას ეწევა და ამ მიზნით, სხვადასხვა ტიპის პოსტებს ანთავსებს. მკითხველები პროდუქტის სწორად შენახვას, ბურღულის ზუსტი ინსტრუქციის მიხედვით მოხარშვას ეცნობიან. „ნიკორას“ „ფეიბუქის“ გვერდის მომხმარებლები სეზონების მიხედვით, სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის გამოყენებით, სასარგებლო სასმელებისა და კერძების მომზადებას, ასევე საპიკნიკე მენიუს შედგენას სწავლობენ. უყურადღებოდ არ რჩებიან ტკბილეულის მოყვარულები. მათ შოკოლადის, ტორტის, გემრიელი მუსების, ნაყინის შესახებ აწვდიან ინფორმაციას. არ ივიწყებენ პატარებსაც, უფროსებს ბავშვებისთვის მხიარული და ორიგინალური კერძების მოსამზადებლად რეცეპტებს სთავაზობენ. გვერდი განწყობის ასამაღლებელ ფოტოებსაც აქვეყნებს, რაც მნახველების ხასიათზე დადებითად აისახება. ყველაფერთან ერთად, ეს გვერდი კონკურსებითა და შესაბამისად საჩუქრებითაც გამოირჩევა.

სოციალური ქსელის მომხმარებელთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა „ნიკორას“ მიერ განთავსებულ ვიდეოს, სადაც ვიდეოკონტროლის მეშვეობით ჩანს, რომ კლიენტმა თანხა დაკარგა. ვიდეოს გავრცელების შემდეგ, კომპანია და „ფეისბუქმომხმარებლები“ ერთობლივი ძალებით ეძებდნენ დაკარგული თანხის პატრონს. მონდომებას და ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია და მომხმარებელმა დაკარგული თანხა დაიბრუნა.

აქტიურია „საქართველოს ბანკის“ „ფეისბუქგვერდი“. ბანკი მომხმარებლისთვის სხვადასხვა მომსახურებისა და სიახლეების შეთავაზების პარალელურად, აქტივობის გაზრდას სხვადასხვა პოსტებით ცდილობს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოწყობილი სოციალური ექსპერიმენტი, როდესაც ბავშვებს ჰკითხეს, რა სურდათ ყველაზე მეტად და მათ დედასთან მეტი დროის გატარება აირჩიეს.

## ტოპ 5 ქართული ფეისბუქ-გვერდი, საიდანაც საინტერესო ამბებს ვიგებთ




მრავალფეროვანია „და ქალის“ „ფეისბუქის“ გვერდი. მომხმარებლები, რომლებსაც აღნიშნული გვერდი აქვთ მოწონებული, სხვადასხვა საიტებზე განთავსებულ მასალებს ეცნობიან. მათი უმრავლესობა საინტერესო რჩევაა და ჯანმრთელობას, კულინარიას, თავის მოვლას უკავშირდება. პოპულარულია სხვადასხვა სახის ვარჯიშების, დიეტებისა და გასახდომი საშუალებების შესახებ მომზადებული მასალები. მკითხველები გულგრილს ვერ ტოვებენ სასიყვარულო ურთიერთობებზე დაწერილ სტატიებსაც.

ნამდვილ იუმორისტულ საკითხავს დაემსგავსა Timberland store Tbilisi-ს „ფეისბუქის“ გვერდი. ადმინისტრატორის უხეშმა და არაეთიკურმა პოსტმა მომხმარებელთა გაღიზიანება გამოიწვია. პროდუქციის მაღალმა ფასებმა კი მკითხველები მეტად გაახალისა. თითოეული ფოტოს ქვეშ სახალისო კომენტარების დიდი რაოდენობა გროვდებოდა. მომხმარებლები აღნიშნავდნენ, რომ გვერდს სასაცილო კომენტარების წასაკითხად და გასამხიარულებლად სტუმრობდნენ. მოგვიანებით, Timberland store Tbilisi-მა უხეში პოსტისთვის ბოდიში მოიხადა და ყველაზე მეტი მოწონების მქონე კომენტარის ავტორი მათი პროდუქციით დაასაჩუქრა.

ambebi.ge

## შოკოლადი და... ბედნიერება

### სად მიირთმევენ ყველაზე მეტ შოკოლადს?

**შოკოლადი რომ ერთ-ერთი საუკეთესო ტკბილეულია, ამაზე ყველა თანხმდება. ამჯერად თქვენს ყურადღებას არა ყველაზე გაყიდვად ან ყველაზე ძვირად ღირებულ შოკოლადებზე შევაჩერებთ, არამედ წარმოგიდგენთ იმ ქვეყნების ათეულს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტ შოკოლადს მოიხმარენ.**



ათეულის სათავეში შვეიცარიაა – ქვეყანა, სადაც ასამდე სახეობის შოკოლადს აწარმოებენ. წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე თითქმის 9კგ შოკოლადს მოიხმარენ. მისი მეზობელი გერმანია რეიტინგში მეორეა –7.89კგ ერთ სულ მოსახლეზე. ხოლო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოკოლადის, „მარსის“ სამშობლო დიდი ბრიტანეთი და მისი მონათესავე ირლანდია ერთნაირად მოიხმარენ ამ ტკბილეულს – ორივე ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წლიური მოხმარება 7.39კგ-ია. ხუთეულს ასრულებს ნორვეგია – 6,62კგ-ით. ათეულს ასრულებენ შვედეთი, ავსტრალია, ნიდერლანდები, აშშ და საფრანგეთი.

ამასთან, ალბათ დამთხვევაა, მაგრამ გამონათქვამი, რომ „შოკოლადი ბედნიერების მომნიჭებელია“, თითქმის პირდაპირ პროპორციულად აისახება ყველაზე მაღალი ბედნიერების ინდექსის მქონე ქვეყნების რეიტინგზეც. UNSDSN-ის მიერ გამოცემული „მსოფლიო ბედნიერების“ კვლევის მიხედვით, მსოფლიოს 154 ქვეყანას შორის ლიდერი შვეიცარიაა, საქართველო კი, სამწუხაროდ, 130-ე ადგილზეა. ეს კვლევა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს, სოციალური დახმარების, ჯანსაღი სიცოცხლის ხანგრძლივობის, ცხოვრების არჩევანის თავისუფლების, გულუხვობით და კორუფციის აღქმის კრიტერიუმებით ჩატარდა და მასში, რა თქმა უნდა, არ იყო გათვალისწინებული შოკოლადის წლიური მოხმარების მაჩვენებელი. თუმცა, კითხვა მაინც ლეგიტიმურია– უდრის თუ არა შოკოლადი ბედნიერებას?

**კოკა კვირკველია**


## ყურადღება!

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.


## ცინცხალი ანეკდოტები

**ინტონაციისდა მიხედვით, ავტომექანიკოს გურგენ მ.-ს სამი სიტყვა შეიძლება ასამდე სათადარიგო ნაწილს, გასაკეთებელ სამუშაოს და საამისოდ საჭირო დროს ნიშნავდეს.**

* * *

**ბაზარში:**

**– შე კაცო, როგორ არ შეგეცოდა ასეთი პატარა გოჭი რომ დაკალი?!**

**– მე დავკალი, ბატონო? გამარჯობა, შენი! მისით მოკვდა!**

* * *

**შეზარხოშებული ჭიქიკია სადღეგრძელოს ამბობს:**

**– ამით, ჩემო მეგობრებო, მოდი იმ ქალებს გაუმარჯოთ, რომლებსაც კაცის გარეშე ცხოვრება ისევე არ შეუძლიათ, როგორც თევზს – უწყლოდ.**

**მის გვერდით მჯდომმა შემჭკნარმა მანდილოსანმა თავი დაიფასა:**



**– რას ამბობთ, ბატონო, მე აგერ ოცი წელია, უმამაკაცოდ ვცხოვრობ და თავს ბედნიერადაც ვგრძნობ!**

**– მე, პატივცემულო ქალბატონო, ახალი თევზის სადღეგრძელო შევსვი.**

* * *

**წვევამდელთა სამედიცინო კომისიაზე:**

**– ახალგაზრდავ, წაიკითხეთ რა წერია კედელზე ჩამოკიდებულ ტაბულაზე?**

**– რომელ ტაბულაზე? იქ არაფერი არ არის!**

**– ძალიან კარგი, ჩინებული მხედველობა გაქვთ, იქ მართლაც არავითარი ტაბულა არ კიდია! ჯარისთვის ვარგისი ხართ!**

* * *

**მიხო მივლინებიდან შინ ერთი დღით ადრე დაბრუნდა და ცოლს საყვარელთან წაასწრო. შიშველი საყვარელი აბაზანაში შევარდა და თეძოებზე პირსახოცი შემოიხვია. „არა, არა!“ აბღავლდა მიხო და ისიც აბაზანაში შეიჭრა. ცოლმა იფიქრა მომიკლავს ქმარი საყვარელსო, შევიდა აბაზანაში და ხედავს ზის მიხო და საწყალი ხმით მოთქვამს:**

**– არა, არა, რამდენჯერ უნდა გავიმეორო, რომ ლურჯი პირსახოცი მხოლოდ სახის გასაწმენდადაა!..**

## კადრი




**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე